ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ურჩი და ნასვამი მძღოლების მიმართ სანქციები მკაცრდება

გვ.6



**27 იანვრიდან**

დონალდ ტრამპი

**იფიქრე ჩემპიონივით**

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




პარასკევი, 27 იანვარი, 2017 №22 (7257) ფასი: 50 თეთრი

# რატომ დატოვეს პატიმრობაში გია ცერცვაძე



გვ.3

„რუსეთს აგვისტოს ომის მონაწილე ქართველი სამხედროების ექსტრადირება სურს“





## დავით საყვარელიძე: „პრობლემა დაუდგება ყველა სამხედროს, ვინც არ გაუწვა ივანიშვილს“

„ჩვენ მივიღებთ ზომებს“ – ქართული ლეგიონი ცერცვაძის გათავისუფლებას ითხოვს

## რატომ აიღო სანდრა რულოვსმა დეპუტატის ხელფასი



გვ.4



გვ.2

## გადმოვა თუ არა პარლამენტი თბილისში?



კობა ნარჩემაშვილი: „პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს“



ავთანდილ დემეტრაშვილი: „ამ საკითხზე დღეს, 27 იანვარს ვიმსჯელებთ“

## კაბელების საქმეზე მსჯავრდებულებს სასჯელი შეუმცირეს



გვ.7

ისინი საპატიმროს 2 თვეში დატოვებენ

ISSN 1987-9385

ელისაშვილი და სამნიძე თბილისის განვითარების ფონდის გაუქმებას ითხოვენ



გვ.2




გვ.5

## გალში საპროტესტო აქცია გაიმართა

## როგორ ებრძვის საქართველოს ხელისუფლება ნაადრევ ქორწინებებს



გვ.5



გვ.5

ამერიკა საქართველოს საზღვრის დაცვაში ეხმარება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გადმოვა თუ არა პარლამენტი თბილისში?

## ავთანდილ დემეტრაშვილი: „ამ საკითხზე დღეს, 27 იანვარს ვიმსჯელებთ“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი **ავთანდილ დემეტრაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაზე საუბრობს.

***– ბატონო ავთანდილ, რომელ ძირითად საკითხებზე მსჯელობს ახლა საკონსტიტუციო კომისია?***

– ჩვენს სამუშაო ჯგუფში განვიხილეთ კონსტიტუციის ყველა ის მუხლი, რომლებიც შეეხება, მაგალითად, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და ფინანსებს. დანარჩენ სამუშაო ჯგუფებშიც ასეა. ამდენად, მსჯელობა მთლიანად კონსტიტუციის ტექსტზე მიმდინარეობს.

***– ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ სრულად ხდება კონსტიტუციის გადასინჯვა?***

– კონსტიტუციაზე მსჯელობა სრულად მიმდინარეობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონსტიტუციის სრული გადასინჯვა მოხდება. მაგალითად, კონსტიტუციის პირველ, მესამე, მეოთხე მუხლებზე სერიოზული მსჯელობა არც ყოფილა. ხარვეზები არის კონსტიტუციაში, რაზეც მიდის მუშაობა, მაგრამ რედაქციულ საკითხებზეც მსჯელობა, ჩემი აზრით, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის საგანი არ უნდა იყოს. ერთი სიტყვით, მთლიანად კონსტიტუციაზე ვმსჯელობთ.

***– დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვა გამოიწვია საკითხმა, უნდა ჩაიწეროს თუ არა კონსტიტუციის პრეამბულაში ქვეყნის მისწრაფებები საგარეო ორიენტირებთან დაკავშირებით. ევროპის ქვეყნების კონსტიტუციაში თუ არის მსგავსი ჩანაწერი?***

– მე ასეთ კონსტიტუციას არ ვიცნობ. მსოფლიოში ძალიან იშვიათად არის, მაგალითად, რელიგიურ მიმართულებაზე ჩანაწერი, მაგრამ კონკრეტულ სტრუქტურებზე კონსტიტუციით განსაზღვრული ორიენტირება – ასეთი რამე არ ვიცი. თუმცა, ჩემთვის მთავარი სულ სხვა რამეა: ევროატლანტიკური მისწრაფებები და ღირებულებები ჩვენს კონსტიტუციაში ისედაც არის გამოხატული, რომ ჩვენ უნდა ავაშენოთ სამართლებრივი სახელმწიფო, რომ უნდა გვქონდეს დემოკრატიული სახელმწიფო. პრეამბულაში ეს ყველაფერი უკვე დაფიქსირებულია. ვფიქრობ, ის, რაც უკვე არის პრეამბულაში, სრულიად საკმარისია ჩვენი სახელმწიფოს ორიენტაციისთვის, ჩვენი კონსტიტუციური წყობის ძირითადი ნიშნებისთვის. კონკრეტულ ორგანიზაციებზე აქცენტს ხომ არ სჯობია, ღირებულებებზე გავაკეთოთ აქცენტი?! ასევე უნდა აღვნიშნო, რომ კონსტიტუციის პრეამბულას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია. მთავარი დეკლარირება კი არ არის, მთავარია, როგორ პოლიტიკას ახორციელებ, როგორია ქვეყნის რეალური პოლიტიკა.





***– კიდევ ერთი ვნებათაღელვის საგანია პარლამენტის ქუთაისიდან გადმოტანა-არგადმოტანის საკითხი. მე ვიცი თქვენი პოზიცია, რომ ორპალატიანი პარლამენტი გადაჭრის ამ პრობლემას, მაგრამ, რამდენად აქტიურად განიხილება ეს საკითხი, ვინ უჭერს მხარს და ვინ – არა, შეგიძლიათ გვითხრათ?***

– დღეს, 27 იანვარს, გაიმართება სხდომა, სადაც სწორედ ეს საკითხი დადგება დღის წესრიგში და განიხილება. კონსტიტუციის 49-ე მუხლი განსაზღვრავს პარლამენტის ადგილსამყოფელს და სწორედ ამაზე გვექნება მსჯელობა. წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ ორპალატიანი პარლამენტის იდეას უმრავლესობა არ გაიზიარებს, თუმცა მე მაინც წარვადგენ ჩემს პროექტს. კონკრეტულად რაც შეეხება პარლამენტის შენობის გადმოტანა-არგადმოტანას, ეს პრინციპულ საკითხად არ მიმაჩნია. დეპუტატებს შორის არიან პირები, რომლებიც მხარს არ უჭერენ ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანას, მაგალითად, კობა ნარჩემაშვილი. ასევე რამდენიმე გავლენიანი დეპუტატი კომისიის წევრი არ უჭერს მხარს ამ იდეას.

თუ პარლამენტის გადმოტანაზეა საუბარი, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოც გადმოვიტანოთ. შემთხვევით არ მოხდა დედაქალაქიდან ცენტრალური ორგანოების გატანა. თავის დროზე ზურაბ ჟვანიას ხელისუფლების ტერიტორიული დივერსიფიკაციის იდეა ჰქონდა. საკონსტიტუციო სასამართლო ჯერ მცხეთაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ მე თბილისში დავაბრუნე, შემდეგ ბათუმში გადაიტანეს. ასევე ეროვნული ბანკი თელავში უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, ამას თავისი დატვირთვა აქვს. ყველაფერი დედაქალაქში არ უნდა იყოს თავმოყრილი, ამიტომ ვამბობ, რომ გადმოტანა-არგადმოტანის საკითხს ჩემთვის პრინციპული დატვირთვა არ აქვს.

***– როგორ ფიქრობთ, ორპალატიანი პარლამენტის იდეას კომისია გაიზიარებს?***

– სამწუხაროდ, არა. 2009-2010 წლებში, როდესაც კომისიის თავმჯდომარე ვიყავი, ვრცელი პროექტი წარვადგინე და მაშინაც არ გაიზიარეს. კომისიის წევრებს რომ ვუყურებ, ვხედავ, როგორ მოსწონთ ეს იდეა შინაგანად, მაგრამ სიახლის ეშინიათ, არ იციან, რა შედეგებს გამოიღებს. 2020 წელს არჩეული ორპალატიანი პარლამენტი, მერწმუნეთ, ქვეყნისთვის ბევრ პრობლემას გადაჭრის. მათ შორის განდგომილი რეგიონების რეინტეგრაციის პროცესს შეუწყობს ხელს.

***– ასეთი მოსაზრებაც მოვისმინე, რომ ორპალატიანი პარლამენტისთვის საქართველო ჯერ მზად არ არის.***

– ღიმილის მომგვრელია, მაგრამ მაინც: ჩვენ უკვე აღარ ვითვლებით ჩამორჩენილ ქვეყნად დემოკრატიისა და კონსტიტუციონალიზმის თვალსაზრისით. მართალია, არ ვართ განვითარებული სახელმწიფო კონსტიტუციონალიზმისა და დემოკრატიის კუთხით, მაგრამ აღარც ჩამორჩენილი ვართ, ამიტომ წინ უნდა წავიწიოთ. ამდენად, სამართლებრივი დაბრკოლება არ არსებობს, არსებობს შიში, თუ როგორ იმუშავებს ეს რთული სისტემა. მე შევეცდები, კიდევ ერთხელ დავარწმუნო არგუმენტებით ჩემი ოპონენტები, რომ არ უნდა გვეშინოდეს და ეს ნაბიჯი უნდა გადავდგათ.

***– ორპალატიანი სისტემის დადებით მხარეზე რომ გვითხრათ, კონკრეტულად?***

– უმთავრესი შეკავება-გაწონასწორების იდეაა, ასევე, განდგომილი რეგიონების განსაკუთრებული სტატუსი მოითხოვს მათ მონაწილეობას ორპალატიან პარლამენტში. სენატის თავმჯდომარე აუცილებლად უნდა იყოს განდგომილი რეგიონის წარმომადგენელი. თუ პრეზიდენტს შეუწყდება უფლებამოსილება, მაშინ პრეზიდენტის მოვალეობას ის შეასრულებს, ანუ სულაც არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს პრეზიდენტი გარკვეული დროით იყოს, მაგალითად, აფხაზი. ბევრი შემიძლია გესაუბროთ ამ სისტემის უპირატესობაზე. თუ არგუმენტი ის არის, რომ სახელმწიფო ფინანსურად უფრო დაიტვირთება, ეს უსაფუძვლო არგუმენტი იქნება.

***– ბატონო ავთანდილ, პრეზიდენტის უფლებამოსილების საკითხი როგორ გადაწყდება, თუ იყო ამ საკითხზე მსჯელობა?***

– მსჯელობა ყველა საკითხს შეეხება. ცხადია, არსებობს პრიორიტეტული საკითხები. ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე, საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრეა. მას მიაჩნია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის ერთ-ერთი სტანდარტი პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევაა, რაშიც მე არ ვეთანხმები. არსებობს საპარლამენტო რესპუბლიკები, სადაც პრეზიდენტი პირდაპირი წესით ირჩევა. გულწრფელად რომ გითხრათ, „ქართული ოცნების“ იმიჯისთვის კარგი არ იქნება, 2018 წელს პრეზიდენტის არჩევნები არაპირდაპირი წესით იყოს. შეიძლება, კონსტიტუციაში დადგინდეს, რომ პრეზიდენტი არ აირჩეს პირდაპირი წესით, მაგრამ ეს ნორმა ამოქმედდეს არა 2018 წელს, არამედ შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

# ელისაშვილი და სამნიძე თბილისის განვითარების ფონდის გაუქმებას ითხოვენ



დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია ,,რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე და საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი ალექსანდრე ელისაშვილი თბილისის განვითარების საქმიანობის შეჩერებას მოითხოვენ.

როგორც ხათუნა სამნიძემ 26 იანვარს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, გასული წლის 28 ნოემბერს თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელ გიორგი ბაიდარაშვილთან სამუშაო შეხვედრა შედგა, რომელსაც საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი ალექსანდრე ელისაშვილი და ,,ტფილისის ჰამქრის“ ხელმძღვანელი ცირა ელისაშვილი ესწრებოდნენ.

დეპუტატის ინფორმაციით, ფრაქცია ,,რესპუბლიკელებმა“ ფონდის მიერ შესრულებული საქმიანობის, მიზნებისა და გეგმების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვეს, რომლის თანახმად, ფონდი, რომლის მთავარი მიზანი თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციაა, მიხეილ მესხის სტადიონის რეაბილიტაციას, ასევე თბილისის ზღვის სანაპირო ზოლისა და ლისის ტბის გარშემო ბილიკების კეთილმოწყობას ახორციელებს.

თავის მხრივ, ალექსანდრე ელისაშვილმა ბრიფინგზე „თბილისის განვითარების ფონდის“ საკადრო პოლიტიკაც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ 58 თანამშრომლიდან ფონდში პროფესიით მხოლოდ ერთი არქიტექტორი მუშაობს.

– „თბილისის განვითარების ფონდში“ ერთადერთი არქიტექტორი მუშაობს და არცერთი არქიტექტორ-რესტავრატორი, არცერთი ხელოვნებათმცოდნე. არადა, ფონდში არსებობს ისტორიულ-კულტურული ძეგლების პროექტირების რეაბილიტაციისა და ხარისხის კონტროლის სამსახურები და ვინ ხელმძღვანელობს, გეტყვით, მაგალითად, 90-იან წლებში გურჯაანის გამგებლის ყოფილი მოადგილე არის ისტორიულ-კულტურული ძეგლების რეაბილიტაციის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, „ვუ ლე ვუს“ შესყიდვების ყოფილი მენეჯერი, შპს „წევას“ მენეჯერის მოადგილე.

ასეთი გაუგებარი კვალიფიკაციის ხალხია. ერთადერთი, რის გამოც ისინი „თბილისის განვითარების ფონდში“ არიან დასაქმებული, არის ის, რომ „ქართული ოცნების“ დროშის ტარი ეჭირათ. შესაბამისად, ეს არის ფულის ფლანგვისა და საეჭვო გარიგებების სტრუქტურა, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ხათუნა სამნიძე და ალექსანდრე ელისაშვილი ,,თბილისის განვითარების ფონდის“ მიზნების, ამოცანებისა და სამუშაოების თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციაზე მკაფიოდ კონცენტრირებასა და შესაბამისი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აცხადებენ, რომ ფონდი უნდა გაუქმდეს და მისი ფუნქციები მერიის კეთილმოწყობის სამსახურს გადაეცეს.

მედიანიუსი

# კობა ნარჩემაშვილი: „პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს“



ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატ კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, ის მხარს არ დაუჭერს პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადატანის საკითხს.

ნარჩემაშვილი გამოეხმაურა ადა მარშანიას 21 იანვარს გაკეთებულ კომენტარს, რომ საკონსტიტუციო კომისია შეთანხმდა პარლამენტის თბილისში დაბრუნებაზე. ქუთაისის მაჟორიტარის თქმით, კომისიას პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ არ უმსჯელია.

– მსჯელობა არ ყოფილა. მე, პირადად, ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მაქვს იგივე პოზიცია, რაც ადრე მქონდა, – არ ვუჭერ მხარს პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანას. კონსტიტუციის ფარგლებში ამ საკითხზეც იქნება მსჯელობა, – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ნარჩემაშვილი ასევე არ ეთანხმება კომისიის წევრთა ნაწილის ინიციატივას, რომ კონსტიტუციაში იყოს მითითებული ქვეყნის ევროატლანტიკური კურსისკენ მისწრაფება.

– ვფიქრობ, რომ კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი, – ეს არის პირადად ჩემი აზრი, – არ უნდა არსებობდეს, იმიტომ, რომ თავისთავად ის ღირებულებები, რაც ასახულია კონსტიტუციაში, ეს არის აზრის, სიტყვის, გამოხატვის თავისუფლება, შრომის უფლება, ეკონომიკური თავისუფლება, საქმიანობის განხორციელების უფლება, – ესენი სხვა არაფერია, თუ არა ევროპული ღირებულებები. ამდენად, შესაძლებელია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ეს დაფიქსირდეს გარდამავალ დებულებებში, ხოლო თვითონ კონსტიტუციის ძირითად კონსტრუქციაში ამ ჩანაწერის არსებობას მხარს არ ვუჭერ, – ამბობს კობა ნარჩემაშვილი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ დატოვეს პატიმრობაში გია ცერცვაძე

## „რუსეთის აგვისტოს ომის მონაწილე ქართველი სამხედროების ექსტრადირება სურს“

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინის მთავარი პროკურორის იური ლუცენკოს დანაპირები არ გამართლდა – სააპელაციო სასამართლომ ქართველი სამხედრო პატიმრობაში დატოვა. სასამართლოს გადაწყვეტილებას როგორც თბილისში, ასევე კიევში უკმაყოფილება მოჰყვა.

ცერცვაძის სასამართლო პროცესი 3 თებერვლისთვის გადაიდო. პროცესის გადადების მიზეზად მოსამართლემ ის გარემოება დაასახელა, რომ საქალაქო სასამართლომ შესაბამისი მასალები დროულად არ მიაწოდა. სააპელაციო სასამართლოს საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაზე უნდა ემსჯელა, რომლის მიხედვითაც გია ცერცვაძეს 40-დღიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლო პროცესს უკრაინაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები და ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ესწრებოდნენ. სასამართლოს არ დასწრებია გია ცერცვაძე. მისი დაკითხვა სკაიპის მეშვეობით ხორციელდებოდა. როგორც მისი ადვოკატი ამბობს, ცერცვაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა.

ამის მიუხედავად, ცერცვაძეს საპატიმროში ყოფნა, მინიმუმ, 3 თებერვლამდე მოუწევს. უკრაინაში საქართველოს კონსული ნანა ჩაბრავა იმედს გამოთქვამს, რომ ქართველ სამხედროს სასამართლოს მომდევნო სხდომაზე გაათავისუფლებენ.

– სამწუხაროდ, სასამართლო გადაიდო 3 თებერვლისთვის. მიზეზად საქმის მასალების არასაკმარისობა სახელდება. ვიმედოვნებთ, რომ 3 თებერვლამდე ყველაფერი იქნება წესრიგში, ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტში მხოლოდ ეს მიზეზი სახელდება. დაკავებულთან შეხვედრა ვერ მოხერხდა, ვინაიდან დღეს ის პროცესზე არ იმყოფებოდა, ვიდეოჩართვა ხდებოდა მისი. რაც შეეხება მის ჯანმრთელობას, ადვოკატი იმყოფებოდა მასთან და, შემიძლია გითხრათ, რომ მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ჩაბრავამ.

მისი თქმით, ცერცვაძის საქმეში ის დაკავების პირველივე დღიდან არის ჩართული.

– ჩემი ჩართულობა პირველივე დღიდან მაქსიმალურად მყისიერად გამოიხატება. დაკავების დღიდან ვესაუბრეთ საზღვრის ხელმძღვანელობას, ვარკვევდით მიზეზებს მისი დაკავების შესახებ, ნოტაც იყო გაგზავნილი საგარეო საქმეთა სამინისტროში, მუდმივ კავშირზე ვართ უკრაინის საგარეო საქმეთა საკონსულო დეპარტამენტთან და ვართ ჩართული ამ საქმეში, – განაცხადა კონსულმა.

კონსულის მსგავსად, 3 თებერვალს იმედით ელოდება საქართველოს ხელისუფლებაც, სჯერათ, რომ ერთ კვირაში ქართველი სამხედრო თავისუფალი იქნება. ოპოზიცია კი 26 იანვრის სასამართლო პროცესის გადადებას ხელისუფლების უუნარობას აბრალებს.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რურუა ამბობს, რომ ცერცვაძის პატიმრობაში დარჩენაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება.

– სამწუხაროდ, გია ცერცვაძე პატიმრობაში რჩება. ეს მთლიანად დღევანდელი კოლაბორაციონალისტური ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. მან ეს კაცი რეალურად სხვა ქვეყანას დააჭერინა, რათა საბოლოოდ რუსეთში წაეყვანათ საწამებლად და სამაგალითოდ დასასჯელად.

ის ფაქტი, რომ ჩვენი ელჩი სასამართლო პროცესზე არ მივიდა, მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად გულგრილად და მავნებლურად ექცევა ამ ადამიანს და ზოგადად ქართულ ჯარს ხელისუფლება. ცერცვაძის ბედი დამოკიდებული გახდა სხვა ქვეყნის სასამართლოს ბიუროკრატიულ, გაუგებარ პროცედურებზე. ჩვენი ხელისუფლება ქვეყნის ფუნდამენტური ინტერესებისთვის საზიანოდ ექცევა ქართულ ჯარს, – აღნიშნა მედიასთან საუბარში რურუამ.









ხელისუფლებას აკისრებს პასუხისმგებლობას „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი. დეპუტატის განმარტებით, ამ მხრივ გაუგონარი ვითარებაა, რადგანაც უკრაინაში დაკავებულ ქართველს მხოლოდ ოპოზიცია იცავს.

– პარადოქსული ვითარებაა, როდესაც ოპოზიცია, კერძოდ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი ჯარისკაცის გასათავისუფლებლად, მეორე მხრივ კი სახელმწიფო არ ზრუნავს ამისთვის და არ უფრთხილდება იმას, რომ საკუთარი ჯარისკაცი მტერ ქვეყანას არ გადაეცეს. სახელმწიფომ დანაშაული ჩაიდინა და მისმა ქმედებამ ჩვენი ჯარისკაცი პატიმრობაში დაუცველი დატოვა, – ამბობს რატიანი.

გია ცერცვაძე რომ 26 იანვარს გათავისუფლდებოდა, ამის შესახებ ერს სწორედ „ევროპულმა საქართველომ“ ამცნო. უკრაინელებთან მოლაპარაკებებს ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე აწარმოებდა.

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გია ცერცვაძე გათავისუფლდეს, მაგრამ როდესაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ თავდებობის წერილს, იგივე არ გააკეთეს უმრავლესობის წარმომადგენლებმა. ეს ნიშნავს, რომ გია ცერცვაძის პატიმრობა მათთვის პირველი რიგის საკითხი არ არის, – განაცხადა რატიანმა.

გუშინდელი სასამართლო პროცესის გადადებაზე ხელისუფლებას აკისრებს პასუხისმგებლობას ფრაქცია „ევროპული საქართველო უკეთესი მომავლისთვის“ თავმჯდომარე ელენე ხოშტარიაც.

მისი თქმით, არ შეიძლება, მესამე ქვეყნის გადაწყვეტილებაზე ვიყოთ დამოკიდებულნი, მაშინ როდესაც პრობლემის მოგვარება სხვაგვარადაც შესაძლებელი იყო.

– სამწუხაროდ, ეს არასწორი გადაწყვეტილებაა. ეს არის ის ვითარება, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით, რომ წარმოუდგენელია, ჩვენ დამოკიდებული ვიყოთ მესამე ქვეყანაზე. იქ, შიგნით, რაზეა ეს დამოკიდებული, რატომ იქცევა სასამართლო ასე, როცა გენერალური პროკურორის პოზიცია სხვაა.

სახელმწიფოს ჩარევა უმნიშვნელოვანესია. პირდაპირი კავშირი უნდა იყოს უკრაინის მაღალი თანამდებობის პირებთან და პროკურატურასთან. უკრაინის ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ძალიან მკაფიო გზავნილი, რომ სახელმწიფო ზრუნავს და მოითხოვს ამ ადამიანის არგადაცემასა და გათავისუფლებას, რაც არ არსებობს.

ძალიან რთულია ჩემთვის ამ შიდაუკრაინული სიტუაციის შეფასება. სწორედ ეს არის ამ სიტუაციის სიმახინჯე და ამიტომაც ვაკისრებ პასუხისმგებლობას ამ ხელისუფლებას, რომ დღეს ჩვენ ვართ ასეთ სიტუაციაში, ხელფეხშეკრულები ფაქტობრივად და ველოდებით, მესამე ქვეყანაში როდის და როგორ გადაწყდება ეს საკითხი, – ამბობს ხოშტარია.

მისივე თქმით, ეს საკითხი აქამდე არ უნდა მისულიყო. დეპუტატი ხელისუფლებისგან სათანადო რეაგირებას ითხოვს.

– კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას, საგარეო საქმეთა მინისტრი, გენპროკურორი წავიდნენ კიევში ან კვირიკაშვილმა დაურეკოს პოროშენკოს. ყველაფერი უნდა გააკეთონ, გამოასწორონ თავიანთი შეცდომა და ყველაფრის ფასად ვიცეპოლკოვნიკ გია ცერცვაძის გამოშვებას მიაღწიონ, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

ცერცვაძის პატიმრობაში დატოვებით იმედგაცრუებული დარჩა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც. მისი განცხადებით, კიევის სააპელაციო სასამართლოს შემოქმედი, რომელმაც ვიცეპოლკოვნიკი გია ცერცვაძე წინასწარ პატიმრობაში დატოვა, ბიძინა ივანიშვილია.

– ამ სასამართლოს შემოქმედი არ არის უკრაინა. ამ სასამართლოს შემოქმედი რუსეთიც კი არ არის. ამ სასამართლოს შემოქმედი არის ივანიშვილი, რომელმაც მთელი პირადი ინფორმაცია საქართველოს სამხედროებზე გადასცა საქართველოს მტერს ოპერაციების ჩამონათვლით, თუ ვინ რომელ ბრიგადაში მსახურობდა, ვინ როდის სად იყო და ვინ რაში შეიძლება დაადანაშაულო. ამაზე მეტი დანაშაული რა უნდა ჩაედინა, – განაცხადა სააკაშვილმა.

* * *

საქართველოს მთავარი პროკურატურა კვლავაც მუდმივ რეჟიმში განახორციელებს კომუნიკაციას უკრაინელ კოლეგებთან და გააკეთებს ყველაფერს, რათა არ განხორციელდეს საქართველოს მოქალაქის ექსტრადიცია იმ სახელმწიფოში, სადაც მისი უფლებების დარღვევის რეალური რისკი არსებობს. პროკურატურა ცერცვაძის საქმეზე განცხადებას ავრცელებს.

– ამ მიზნით საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე პირადად დაუკავშირდა მის უკრაინელ კოლეგას და მიაწოდა სრულყოფილი ინფორმაცია გია ცერცვაძის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის მიზანშეუწონლობის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით უკრაინის გენერალურ პროკურატურას ასევე გაეგზავნა შესაბამისი წერილობითი დოკუმენტაცია. მსგავსად წინა დღეებისა, საქართველოს მთავარი პროკურატურა დღესაც დაუკავშირდა უკრაინელ კოლეგებს, რათა მიეღო ინფორმაცია გია ცერცვაძის პატიმრობის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესის თაობაზე.

როგორც უკრაინელმა კოლეგებმა გვაცნობეს, პროცესის გადაიდო იმ მიზეზით, რომ შესაბამისი მასალების წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოდან სააპელაციო სასამართლოში დროულად ვერ იქნა უზრუნველყოფილი. შესაბამისად, საკითხის განხილვა გადაიდო 3 თებერვლისთვის. აღსანიშნავია, რომ გუშინ ჩატარებულ სასამართლო პროცესზე არ მომხდარა გია ცერცვაძის პატიმრობაში დატოვებისა თუ მისი გათავისუფლების საკითხის არსებითი განხილვა და, შესაბამისად, ამ საკითხზე კიევის სააპელაციო სასამართლო იმსჯელებს მომავალ სასამართლო პროცესზე, – განაცხადა მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ჩილინგარაშვილმა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## „ჩვენ მივიღებთ ზომებს“

### ქართული ლეგიონი ცერცვაძის გათავისუფლებას ითხოვს

უკრაინაში მებრძოლი ქართული ლეგიონის წევრები აცხადებენ, რომ თუ 3 თებერვალს გია ცერცვაძეს არ გაათავისუფლებენ, ისინი უფრო რადიკალურ ზომებს გადადგამენ, ვიდრე ფრონტის წინა ხაზის დატოვებაა:



– ელემენტარული ტყუილი, რაც შეიძლება მოატყუო პატარა ბავშვს, არის ის, რომ სასამართლოდან, პირველი ინსტანციიდან ვერ მოიტანეს საკმარისი დოკუმენტები. თუ არ იქნება სწორედ ისეთი გადაწყვეტილება მიღებული, რომელზეც შევთანხმდით უშუალოდ პირადი საუბრების დროს გენერალურ პროკურორთან, ჩვენ მივიღებთ ზომებს, – განუცხადა რუსთავი 2-ს ქართული ლეგიონის მეთაურის მოადგილე შოთა კედელაშვილმა.

პირველი რადიო

## დავით საყვარელიძე: „პრობლემა დაუდგება ყველა სამხედროს, ვინც არ გაუწვა ივანიშვილს“



– მე დარწმუნებული ვარ, რომ 3-ში ეს საქმე დასრულდება წარმატებით და გიას ჩვენ გამოვიყვანთ ამ სიტუაციიდან, მაგრამ ეს მდგომარეობა და ეს აბსურდი არ არის არც ლუცენკოს ბრალი და არც უკრაინის სახელმწიფოს ბრალი, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტუაცია არის დაულაგებელი და ეს სისტემა არის დაულაგებელი. ეს არის ბრალი ივანიშვილის, ეს არის ბრალი საქართველოში გამყიდველების, ვინც ამ ბიჭების, ამ მებრძოლების ბაზები და მონაცემები გადასცა ჩვენს მთავარ მტერ სახელმწიფოს, – აცხადებს უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძე.

საყვარელიძე საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებს და აღნიშნავს, რომ მსგავსი პრობლემის წინაშე შესაძლოა სხვა სამხედრო პირებიც აღმოჩნდნენ.

– ეს პრობლემა დაუდგება არა მარტო გიას, არამედ დაუდგება ყველა პატრიოტს და მებრძოლს საქართველოში, ვინც არ გაუწვა ივანიშვილის რეჟიმს და არ მუშაობს ივანიშვილის რეჟიმის სასარგებლოდ, ვინაიდან ადამიანს გაატარებენ საქართველოში და არ ეტყვიან, მას არ ჩააყენებენ საქმის კურსში, რომ ის იმყოფება ინტერპოლის ძებნაზე, შეიძლება ხვალ დააკავოს საბერძნეთმა, შეიძლება ხვალ დააკავოს თურქეთმა, ჩახედავენ იქნება ბრალდება, რომელიც არ არის კავშირში ომის დანაშაულთან, შეიძლება აქ იყოს ლაპარაკი მანქანის გატაცებაზე, ყაჩაღობაზე, მაგალითად და ამ ბრალდებით შეიძლება, ვიღაცამ გადასცეს ასეთი ხალხი რუსეთს და შემდეგ გაქრება ეს ხალხი, არავითარი სასამართლო არ იქნება, – განაცხადა დავით საყვარელიძემ.

პირველი რადიო


გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რატომ აიღო სანდრა რულოვსმა დეპუტატის ხელფასი

შორენა მარსაგიშვილი



ნაციონალები მოქმედ ხელისუფლებას პრემიებისა და დანამატების სიყვარულის გამო ხშირად საყვედურობენ, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, არც თავად ამბობენ უარს ამ სიამოვნებაზე.

ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი ნაციონალების საარჩევნო სიის მეორე ნომერი იყო. ის პარლამენტში სიით მოხვდა, თუმცა დეპუტატობაზე ჯერ კიდევ მანამდე განაცხადა უარი, სანამ მეორე ტურები ჩატარდებოდა და მეცხრე მოწვევის პარლამენტი შეიკრიბებოდა.

მართალია, მას დეპუტატობა რატომღაც სასტიკად არ მოუნდა, მაგრამ დეპუტატის ხელფასზე უარი არ თქვა.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სანდრა რულოვსმა პარლამენტიდან ანაზღაურება მიიღო. მისი შემოსავალი 1.675 ლარი იყო, საიდანაც თანხის 60% – 1.008 ლარი – დანამატი იყო.

სანდრა რულოვსს დეპუტატის უფლებამოსილება გასული წლის 30 ნოემბერს შეუწყდა. მის გარდა, უფლებამოსილება გიორგი კვირიკაშვილს, კახი კალაძესა და გიორგი გახარიასაც შეუწყვიტეს. რულოვსისგან განსხვავებით, ეს სამეული მთავრობაში წავიდა.

მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრებმა 2016 წლის 18 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, შემოსავლის სახით 1.037.036 ლარი მიიღეს.

ამ თანხის 60%-ზე მეტი, 625.894 ლარი, პარლამენტარების დანამატები იყო, 411.142 ლარი კი – თანამდებობრივი სარგო.

ოფიციალური ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ყველაზე მეტი შემოსავალი 2016 წელს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესა და მის მოადგილეებს ჰქონდათ.

თითოეულმა მათგანმა დანამატის სახით თანამდებობრივ სარგოზე ორჯერ ან უფრო მეტი ანაზღაურება მიიღეს.

კერძოდ, ირაკლი კობახიძემ 2016 წლის 18 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე 9.306 ლარი გამოიმუშავა. აქედან 2.762 ლარი თანამდებობრივი სარგოა, 6.544 ლარი კი – დანამატი.

ამავე რაოდენობის თანამდებობრივი სარგო მიიღეს მისმა მოადგილეებმა თამარ ჩუგოშვილმა, გია ვოლსკიმ, ილია ნაკაშიძემ, ზვიად ძიძიგურმა, ირმა ინაშვილმა და სერგი კაპანაძემ.

განსხვავება ის არის, რომ მოადგილეებმა დანამატის სახით მხოლოდ 5.992 ლარი მიიღეს. თითოეულმა ვიცესპიკერმა, ჯამში, 8.754 ლარი მიიღო. გამონაკლისი იყო პირველი ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი. მან დანამატის სახით 6.081 ლარი აიღო.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეების გარდა, 8.000 ლარზე მაღალი შემოსავალი მიიღეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიით არჩეულმა დეპუტატებმა – ხათუნა გოგორიშვილმა, რომან გოცირიძემ და დავით ბაქრაძემ.

აქედან გოგორიშვილსა და გოცირიძეს 8.196-8.196 ლარი ერგოთ, დავით ბაქრაძემ კი 43 დღეში 8.615 ლარი იშოვა.

# რატომ დატოვეს პატიმრობაში გია ცერცვაძე

დასაწყისი მე-3 გვერდზე

* * *

ოპოზიცია, უუნარობის გარდა, ხელისუფლებას კიდევ უფრო მძიმე ბრალდებებს უყენებს. მათი მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვს გადასცა იმ ქართველი მებრძოლების სია, რომლებიც აგვისტოს ომში მონაწილეობდნენ.

ხელისუფლება ამ ბრალდებებს სისულელესა და აბსურდს უწოდებს, ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ ამის დამამტკიცებელი ფაქტები აქვთ, ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებად კი ცერცვაძის საქმე მოჰყავთ.

ამ ფონზე ერთი საინტერესო ინფორმაცია ხდება ცნობილი. მოსკოვმა რომ ქართველი სამხედროების წინააღმდეგ საქმე აღძრა, ყველამ იცის. ახლა ირკვევა, რომ

მოსკოვს 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილე ქართველი სამხედროების რუსეთში ექსტრადირება სურს.

როგორც „ექსპრესნიუსისთვის“ ექსკლუზიურად მოსკოვიდან გახდა ცნობილი, რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტს საქმე აღძრული აქვს რამდენიმე ქართველი სამხედროს წინააღმდეგ. დაზუსტებული ცნობით, გამოძიება მიმდინარეობს ზაურ ბერიანიძის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად თავდაცვის სამინისტროს თადარიგის პოლკოვნიკია. ბერიანიძე 2008 წლის რუსეთის აგრესიის დროს მეორე ქვეითი ბრიგადის დაზვერვის უფროსი იყო.

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა ბერიანიძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში რუს მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმისა და მკვლელობის მოტივით.

საგამოძიებო კომიტეტი ასევე იძიებს კიდევ ერთი სამხედროს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილე ირაკლი ქურასბედიანის საქმეს. მას ბრალად რუს მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმა ედება. ირაკლი ქურასბედიანი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი იყო.

ამასთან, ქურასბედიანს ძარის გზაზე რუსი სამხედროების მკვლელობასაც ედავებიან. როგორც „ექსპრესნიუსს“ მოსკოვიდან აცნობეს, ორივე მებრძოლზე რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი ინტენსიურ გამოძიებას აწარმოებს და, ამასთან, გზებს ეძებს, როგორ მოახდინოს მათი ექსტრადირება მოსკოვში.

არც ქურასბედიანი და არც ბერიანიძე ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან. ქართველი მებრძოლები უკრაინის შეიარაღებულ ძალებში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ იბრძვიან.

# ყვითელი მიკროავტობუსები 2031 წლამდე მოგვემსახურება

– მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, ე.წ. მარშრუტკების ოპერატორ კომპანიას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა 2031 წლამდე აქვს.

ამის შესახებ ოლნიუს.გე-ს თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძემ განუცხადა.

მისი თქმით, მიკროავტობუსების მიმართულებით რადიკალური ცვლილებები დაგეგმილი არ არის.

– ეს კერძო ოპერატორია, რომელიც კონკრეტულ მიმართულებას კურირებს. ჩვენ მუნიციპალური ტრანსპორტის ნაწილში, რომელშიც მეტრო, საბაგირო და ავტობუსები შედის, ცვლილებებსა და განვითარებას ვგეგმავთ, – აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

მიკროავტობუსების გადაადგილების მარშრუტსა და რაოდენობას კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ ადგენს.

ბიპიენი

# „აქსისის“ პორტფელში 38 დასრულებული კომპლექსი და 15 მიმდინარე და ახალი პროექტია

დეველოპერულმა კომპანია „აქსისმა“ მედიის წარმომადგენლებისთვის მედიატური გამართა, რომლის ფარგლებშიც ტელე-რადიო კომპანიების, ინტერნეტ და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, კონკრეტულად გასცნობოდნენ „აქსისის“ მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებს.

„აქსისის“ გენერალურ დირექტორ გიორგი კაპანაძის მეგზურობით მედიის წარმომადგენლებმა თბილისში მდებარე რამდენიმე დასრულებული და მშენებარე ობიექტი მოინახულეს.



გასული წლების შეჯამებისას გიორგი კაპანაძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივ ბაზარზე „აქსისს“ გამოარჩევს დაგროვილი გამოცდილება და ინოვაციური მიდგომებისადმი და მშენებლობის უმაღლესი სტანდარტების დანერგვისადმი ერთგულება.

– სწორედ გამოცდილებამ და ამ მთავარი კომპონენტებისადმი ერთგულებამ მისცა ჩვენს კომპანიას იმის საშუალება, რომ, ბევრი სხვა კომპანიისგან განსხვავებით, გადაურჩა დეველოპერულ ბაზარზე 2008 წლის შემდგომ განვითარებულ კრიზისს და შეძლო პრაქტიკულად წარმოუდგენელი – შეფერხებული პროექტების განახლება და, ამასთან ერთად, რამდენიმე მსხვილი, მათ შორის მეგაპროექტის წამოწყება. „აქსისი“ 18– წლიან ისტორიას ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ განვახორციელეთ 38 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, ხოლო 15 მიმდინარე და ახალი პროექტის დასრულება 2017-2018 წლებში იგეგმება. პრაქტიკულად, „აქსისი“ საქართველოში ერთადერთი მსხვილი დეველოპერული კომპანიაა, რომელმაც გადალახა სამშენებლო ბაზარზე შექმნილი კრიზისი და პოსტკრიზისულ პერიოდში კვლავ ბაზრის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს, – განაცხადა გიორგი კაპანაძემ მედიატურის მონაწილეებთან საუბრისას.

კომპანიის სადღეისოდ არსებული პორტფელი პირობითად შეიძლება სამ ძირითად კატეგორიად დაიყოს: 2008 წლის კრიზისამდელი, პოსტკრიზისული და ახალი პროექტები.

2008 წლის კრიზისამდე „აქსისმა“ ააგო 18 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი 10 სხვადასხვა მისამართზე. ესენია: პეტრიაშვილის 28 (1 კორპუსი); პეტრიაშვილის 25 (3 კორპუსი); არაყიშვილის 14 (1 კორპუსი); არაყიშვილის 16 (1 კორპუსი); თამარაშვილის 13 (3 კორპუსი); მცხეთის 17 (1 კორპუსი) და ყაზბეგის 24 (8 კორპუსი).

პოსტკრიზისულ პერიოდში 8 სხვადასხვა მისამართზე დასრულდა 20 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. ესენია: საირმე პალასი (1 კორპუსი); კედიას 10 (1 კორპუსი); აბაშიძის 34/36 (2 კორპუსი); ჭავჭავაძის 75 (2 კორპუსი); ჭავჭავაძის 49 (1 კორპუსი); კარტოზიას ქუჩა (2 კორპუსი); პალასი 1 (7 კორპუსი) და პალასი 2 (4 კორპუსი).

„აქსისის“ მენეჯმენტში აცხადებენ, რომ კომპანიას იმთავითვე სრულად ჰქონდა გააზრებული მომხმარებლის წინაშე აღებული პასუხისმგებლობა და ბაზარზე სიძნელეების შექმნის დღიდანვე ეტაპობრივად, სტაბილურად ახდენს ყველა ნაკისრი ვალდებულების სისრულეში მოყვანას.

გიორგი კაპანაძის განცხადებით, პოსტკრიზისული პერიოდის მშენებლობებიდან 2017-2018 წლებში „აქსისი“ უკლებლივ ყველა მომხმარებელს დააკმაყოფილებს იმავე პირობებითა და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით.

კერძოდ, 2017 წელს „აქსისი“ გეგმავს, დაასრულოს შემდეგი პროექტები: კედიას 10 (2 კორპუსი); პალასი 1 (I და VI კორპუსები) და პალასი 2 (IV და VI კორპუსები). 2018 წელს დასრულდება პალასი 1 (VII კორპუსი) და საირმე პალასი (II კორპუსი).

„აქსისის“ მენეჯმენტში აცხადებენ, რომ კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განახლდა პროექტი – **„აქსისი საირმეზე“**. ეს იყო უკანასკნელი შეჩერებული ობიექტი და, შესაბამისად, მისი განახლებით კომპანია მთლიანად დაასრულებს გასული წლების ვალდებულებების შესრულებას. 2018 წლის შემოდგომისთვის ასევე გაუმჯობესებული პირობებითა და ინფრასტრუქტურით **„აქსისი საირმეზე“** პროექტის მობინადრეები სრულად დაკმაყოფილდებიან.

მედიატურის მონაწილეები ასევე გაეცნნენ იმ ახალი პროექტებსაც, რომლებსაც „აქსისი“ 2017-2018 წლებში განახორციელებს. მათ შორისაა „აქსის პალასის“ სავაჭრო ცენტრი, სადაც სულ მალე გაიხსნება საქართველოში მოქმედი ჰიპერმარკეტების ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქსელის ფილიალი და 10.000 მ2 ფართობის ავტოსადგომი. ამავე პერიოდში დასრულდება კარტოზიას ქუჩის პროექტი (III კორპუსი, ჭავჭავაძის 75 (III და IV კორპუსი) და წინამძღვრიშვილის პროექტი (I და II კორპუსი).

ამ ობიექტების უმეტესობაზე „აქსისი“ სახლის მართვის კუთხით, საქართველოს რეალობაში უპრეცედენტო მომსახურების – კონსიერჟის სერვისის დანერგვას გეგმავს.

# გალში საპროტესტო აქცია გაიმართა

მარიამ მჭედლიშვილი

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის, ანუ ნაბაკიას მოსახლეობა აფხაზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას აპროტესტებს. 200-მდე ადამიანმა გამართულ მიტინგზე მოითხოვა იქ არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტის შენარჩუნება. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორია ნაირა ქარდავა, რომელიც სოფლის ყოფილი გამგებელია.

„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა დეკემბრის ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება გალის რაიონში მდებარე ორი საკონტროლო-გამშვები პუნქტის – ნაბაკიისა და ოტობაიის დახურვის შესახებ.

ეს პუნქტები იანვრის ბოლოს უნდა გაუქმდეს, რაც დააზარალებს ადგილობრივ ქართველობას, რომელიც თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მათი მეშვეობით გადმოდის.

ენგურის ხიდზე მოქმედი საკონტროლო-გამშვები პუნქტი, რომელსაც საკვანძოს უწოდებენ, გალელებისათვის შორსაა. მათ უტრანსპორტობის პირობებში იქ მისვლა უჭირთ. ენგურის პუნქტის გარდა, ერთადერთ გადასასვლელ ადგილად, ფაქტობრივად, რჩება ენგურჰესის მომსახურებისთვის აუცილებელი ტექნიკური საკონტროლო-გამშვები პუნქტი.




დეკემბერში დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ბრიფინგზე განაცხადა, რომ, ენგურის საკვანძო საკონტროლო-გამშვები პუნქტის გარდა, ყველა დანარჩენი დაიხურებოდა. ენგურის პუნქტი გამოიყენება ჰუმანიტარული ტვირთების შესატანადაც. ეს გადაწყვეტილება, მისი განმარტებით, აუცილებელია წესრიგის დამყარებისა და კონტრაბანდის შემცირებისათვის. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ისიც აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების ამოქმედება არალეგალურ მიმოსვლას არ გამოიწვევს, ვინაიდან „საზღვარზე“ დამყარდება მკაცრი კონტროლი, გალელებისათვის კი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას მოაწყობენ.

აფხაზეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის თანახმად, საგრძნობლად იზრდება ჯარიმები აფხაზეთის სახმელეთო და საზღვაო საზღვრების დარღვევისათვის. აფხაზეთის რეჟიმი სახელმწიფო საზღვრად მიიჩნევს სასაზღვრო ზოლს აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას შორის.

ჯარიმების გამკაცრება დაემთხვა გალის საკონტროლო-გამშვები პუნქტების გაუქმებას.

გალელ მომიტინგეებთან შეხვედრისას ადგილობრივი უშიშროების სამსახურის წარმომადგენელმა თემურ შენგელიამ მათ აუხსნა, რომ საკონტროლო-გამშვები პუნქტების გაუქმების გადაწყვეტილება „სახელმწიფოს მეთაურმა“ მიიღო.

საეჭვოა, რომ ასეთი პასუხი სანუგეშო იყოს გალელებისათვის, რომლებსაც მშობლიურ ენაზე სწავლა აუკრძალეს, უსაბუთოდ დატოვეს და მიმოსვლასაც უზღუდავენ.

ადამიანის ამგვარი უფლებების დარღვევა, წესით, გაეროს წარმომადგენლების განხილვისა და პროტესტის საგანი უნდა იყოს.

გაეროს დევნილთა სააგენტოს რეგიონულ დირექტორს სამხრეთ კავკასიაში იოჰანეს ვან დერ კლააუს შეხვდა აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე. გაეროს წარმომადგენელმა მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ მის ორგანიზაციას აფხაზეთში სხვადასხვა პროექტის განხორციელების საშუალება ეძლევა.

ოფიციალური მონაცემებით, გაეროს სააგენტო აფხაზეთში 1993 წლიდან მუშაობს, თუმცა თბილისში მოქმედი აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურის წარმომადგენლებს არაერთხელ უთქვამთ, რომ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზეთში საქმიანობისა და ოფისების ამუშავების უფლებას არ აძლევს.

# ამერიკა საქართველოს საზღვრის დაცვაში ეხმარება

საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ თანამედროვე ევროპული ტიპის კინოლოგიური ცენტრი მიიღო, რომლის მშენებლობა, სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებითა და ტექნიკით აღჭურვა ამერიკის შეერთებულ შტატების თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა.



სასაზღვრო პოლიციის ლილოს ბაზაზე ცენტრის მშენებლობას ელჩმა იან კელიმ 2016 წლის აპრილში ჩაუყარა საფუძველი და ათი თვის შემდეგ აქ უკვე არის თანამედროვე ცენტრი, ოდოროლოგიური წვრთნის ოთახი, ვეტპუნქტი და ვოლიერები, სადაც მესაზღვრე გერმანულ-ბელგიური ნაგაზები კომფორტულად ცხოვრობენ.

ამერიკული დახმარების მთავარი მიზანი საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, ლოკალურად კი ეს პროექტი კვალიფიციური მესაზღვრე-კინოლოგებისა და მათი ოთხფეხა მეგობრების მომზადებას ითვალისწინებს, რომლებიც მომავალში სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა მონაკვეთზე გაიგზავნებიან.

კინოლოგიური ცენტრის გახსნას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იან კელი დაესწრო, რომელმაც ბრძანა:

– ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა. ამ მხარდაჭერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომ საქართველომ ეფექტურად შეძლოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა, აღკვეთოს საზღვარზე უკანონო ტვირთების გადაზიდვა და ადამიანების არალეგალურად გადაადგილება. პარალელურად უზრუნველყოს მოქალაქეების და ტვირთების კანონიერი, შეუფერხებელი მოძრაობა. ვფიქრობ, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ. კინოლოგიურმა სამსახურმა თავი ძალიან შთამბეჭდავად წარმოაჩინა, რაც ქვეყნის სუვერენიტეტის და სახელმწიფო საზღვრის დაცვაში თავის წვლილს შეიტანს და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნის – საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში დაგვეხმარება.

ამერიკის შეერთებულ შტატები ამ მიმართულებით უკვე წლებია აქტიურად ეხმარება საქართველოს სხვადასხვა უწყებებს. 2014 წლიდან საკუთარი, თანამედროვე კინოლოგიური ცენტრი აქვს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, რომელიც თბილისში გაფორმების ეკონომიკურ ზონა „გეზი-2“-ის ტერიტორიაზეა განთავსებული. ამ ცენტრის შექმნა აშშ-ს ნარკოტიკებისა და სამართალდაცვის საქმეთა საერთაშორისო ბიუროს პროგრამის ფარგლებში მოხდა და ის ნარკოტიკებზე გაწვრთნილი ძაღლების და კინოლოგების მომზადებას ახორციელებს. აქ მომზადებული პროფესიონალი წყვილები უკვე მუშაობენ საქართველოს საბაჟო პუნქტებზე, მათ შორის სარფსა და ვალეში.

ამ პროგრამის ფარგლებში, 2013-15 წლებში, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კინოლოგიური სამსახურის ვოლიერებს, საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე აშენდა დროებითი ვოლიერები, შეძენილ იქნა ახალი ძაღლები და შეიქმნა ოპერატიული დანაყოფი, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკების აღმოჩენაზე მუშაობს.

კინოლოგიური პროექტის ფარგლებში ამ დანაყოფის თანამშრომლებმა სასწავლო პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთში გაიარეს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ამბობს: „აშშ მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სასაზღვრო პოლიციას საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაში. კინოლოგიის ცენტრის გახსნაც სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას ემსახურება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება“.

აშშ ქართველი მესაზღვრეების დახმარებას იმ 10-მილიონიანი ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს, რომელსაც 2016 წლის თებერვალში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა და აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს შორის მოეწერა ხელი. პროექტის ფარგლებში, 2016 წელს, საქართველოსომხეთის სახელმწიფო საზღვარზე, სექტორ „სადახლოზე“ უკვე აშენდა და ფუნქციონირებას შეუდგა 24-საათიანი ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მართვის ცენტრი. გასულ წელს ასევე დაიწყო სასაზღვრო სექტორების „კასუმლოსა“ და „ქედის“ მშენებლობა, რომელიც 2017 წლის მარტისთვის სრულად აღიჭურვება, მათ შორის, უკვე საქართველოში გაწვრთნილი მესაზღვრე ძაღლებით.

აშშ-ის დახმარება საქართველოს სასაზღვრო პოლიციას (2014-2017 წწ.)

2017 იანვარი – კინოლოგური ცენტრის გახსნა ლილოს სასაზღვრო ბაზაზე;

2016 ნოემბერი – სექტორ „იორის“ ახალი შენობა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, დედოფლისწყაროს რაიონში;

2016 ოქტომბერი – სექტორ „სადახლოზე“ სასაზღვრო ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მართვის ცენტრი, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვარზე;

2016 ოქტომბერი – ორი 110-ფუტიანიIsland-ის კლასის საპატრულო ხომალდი საჩუქრად. საქართველოში შემოვლენ 2017 წლის ზაფხულში;

2016 ივნისი – სასაზღვრო სექტორების „ასუმლოსა“ და „ქედის“ მშენებლობის დაწყება, დასრულდება 2017 წლის გაზაფხულზე;

2015 დეკემბერი – საპატრულო კატარღა „ივერიას“ – „ბორტ NP-105“-ის სარემონტო სამუშაოები;

2015 სექტემბერი – ბათუმში, სასაზღვრო პოლიციის მცურავი საშუალებების ბაზირების პუნქტის ნავმისადგომი;

2015 წლის აგვისტო – ბათუმში, საპატრულო კატარღა P-103-ის სრული მოდერნიზება, მიენიჭა სახელი „ბათუმი“;

2015 აპრილი – ფოთში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზისთვის 200 – ტონიანი ამწე მოწყობილობის გადაცემა. ზღვიდან გემების ამოსაღები ესტაკადისა და მათი დროებითი განთავსების მოედნის მშენებლობა;

2015 თებერვალი – მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრევენციის მიზნით სასაზღვრო პოლიციას გადაეცა: 83 რადიაციული პეიჯერი, 1 რადიაციული დეტექტორი, 12 რადიაციული დოზიმეტრი, 10 რადიაციული მრიცხველი;




2014 წლის ოქტომბერი – სასაზღვრო სექტორების „მსხალგორის“, „ახალსოფელისა“ და „ცოდნის კარის“ ახალი შენობები, საქართველო-რუსეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე;

2014 წლის სექტემბერი – სექტორების „ბურდაზორისა“ და „ახკერპის“ ახალი შენობები, საქართველო-სომხეთის საზღვარზე;

2014 აგვისტო – სექტორ ,,კარწახის“ ახალი შენობა საქართველო-თურქეთის საზღვარზე;

2014 ივნისი – სუფსაში ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრი.

**ნიუსპრესი**

# როგორ ებრძვის საქართველოს ხელისუფლება ნაადრევ ქორწინებებს



25 იანვარს გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტში საქართველოს შესახებ წარდგენილი მოხსენება განიხილეს. ერთ-ერთი მთავარი იმ საკითხებიდან, რომლებიც გაეროს ექსპერტებს აინტერესებდათ, ნაადრევი ქორწინებების პრობლემაა, რომელიც საქართველოში, სამწუხაროდ, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული.

ამის შესახებ გაეროს რადიო იუწყება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

საქართველოს დელეგაციის წევრებმა ხაზი გაუსვეს, რომ ამჟამად უკვე გაუქმებულია ეროვნული კანონმდებლობის ის დებულება, რომლის თანახმად, ნებადართული იყო 16 წლის ასაკს მიღწეული პირების ქორწინება. დღეისათვის კი საქართველოში მინიმალური საქორწინო ასაკი 18 წელია. ამასთან, ერთ-ერთი შესწორების მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში ქორწინება შეუძლიათ 17 წლის ასაკს მიღწეულ პირებსაც – მხოლოდ სასამართლოს ნებართვით, თუ მათ უკვე შვილი ჰყავთ.

საქართველოს ხელისუფლება ასევე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტმა მშობელმა იცოდეს თავიანთი შვილების ნაადრევი ქორწინების შედეგების შესახებ, მათ შორის – ბავშვთა ჯანმრთელობის თაობაზეც. ქვეყნის იმ რაიონებში, რომლებშიც ნაადრევი ქორწინების ფაქტებია გავრცელებული, სასკოლო დაწესებულებებში ტარდება მშობელთა კრებები, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, [ჯანდაცვის მუშაკები] მოსწავლეთა მშობლებს და უფროსი ასაკის მქონე პირებს განუმარტავენ იმას, თუ როგორ ნეგატიურ შედეგებს მოუტანს მათ ბავშვებს ნაადრევი ქორწინება არასრულწლოვან ასაკში.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მევახშეობა — გურჯაანის მაჟორიტარ დავით სონღულაშვილის შემოსავლის ძირითადი წყარო



საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სონღულაშვილმა, რომელიც გურჯაანის საარჩევნო ოლქიდან არის არჩეული, 2016 წელს გაასესხა 201.300 აშშ დოლარი და 641.890 ევრო, საიდანაც საპროცენტო სარგებლის სახით 122.000 ლარზე მეტი მიიღო.

მანვე 2016 წლის 6 ივლისს შეიძინა 400.000 ლარად ღირებული ბინა ქალაქ თბილისში და 120.000 ლარად ღირებული აგარაკი დაბა კოჯორში.

დავით სონღულაშვილი საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" წარდგენით, გურჯაანის მაჟორიტარული ოლქიდან გახდა. პარლამენტში იგი ორი კომიტეტის წევრია – დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტისა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის. გაერთიანებულია ფრაქციაში „ქართული ოცნება".

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია დავით სონღულაშვილმა 2017 წლის 18 იანვარს შეავსო.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ იგი ბიზნესის სფეროში საქმიანობს და 8 კომპანიაში ფლობს სხვადასხვა ოდენობის წილებს.

ესენია: შპს „ედრესი" (59%), შპს „ბელეზა" (100%), შპს „დრაი ქლინინგ ჯორჯია" (16,67%), შპს „რთველი 2002" (34%), შპს „გამსახურდიას 5" (16%), შპს „პროგრესი" (50%), შპს „ინტერგაზი" (30%) და შპს „თიეიჩ ჯორჯია" (33%).

აქედან მოქმედია მხოლოდ ორი საწარმო – შპს „გამსახურდიას 5" და შპს „ედრესი". ამ საწარმოებიდან დავით სონღულაშვილის წლიურმა შემოსავალმა სულ 33.120 ლარი შეადგინა.

პარლამენტის წევრის მეუღლე ქეთევან მაღულარია შპს „ბეიბი ზუმის" 100% წილის მფლობელია. სამეწარმეო საქმიანობიდან მისი შემოსავალი 2016 წელს სულ 1.780 ლარი იყო.

როგორც ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, დავით სონღულაშვილის შემოსავლის ძირითად წყაროს მევახშეობა წარმოადგენს – იგი უცხოურ ვალუტაში დაბალი პროცენტით სესხულობს სოლიდური ოდენობის თანხებს და შემდეგ მაღალი პროცენტით ახდენს ამ თანხების გასესხებას.

კერძოდ, 2015 წლის 17 დეკემბერს მან კერძო პირისგან 7 წლის ვადით აიღო 200.000 დოლარის სესხი, ხოლო 2016 წლის 6 ივლისს ასევე კერძო პირისაგან 10 წლის ვადით ისესხა 678.200 ევრო. ამ სესხებზე პარლამენტის წევრის წლიურმა გასავალმა, შესაბამისად, 21.523 აშშ დოლარი და 33.681 ევრო შეადგინა.

ზუსტად იმავე პერიოდში დავით სონღულაშვილმა, როგორც კრედიტორმა, გააფორმა 4 სესხის ხელშეკრულება – მან კერძო პირებზე სესხად გასცა 201.300 აშშ დოლარი და 641.890 ევრო, ხოლო ამ სესხებიდან სარგებლის (პროცენტის) სახით წლის განმავლობაში მიიღო 42.276 აშშ დოლარი და თითქმის 80.000 ევრო.

2016 წლის 6 ივლისს დავით სონღულაშვილმა ერთდროულად ორი ძვირადღირებული უძრავი ნივთიც იყიდა – 400.000 ლარად შეიძინა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №14ა-ში მდებარე 336,3 მ2 საცხოვრებელი ბინა, ხოლო 120.000 ლარად – დაბა კოჯორში მდებარე აგარაკი, რომლის ფართობიც 227,3 კვ.მ-ია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყებოდა, რომ 2016 წლის ოქტომბერში დავით სონღულაშვილის ოჯახმა და მისმა ბიზნესპარტნიორებმა „ქართული ოცნების" ანგარიშზე 290.000 ლარის ოდენობით შემოწირულობა შეიტანეს – შპს „გამსახურდიას 5"-მა 120.000 ლარი, ამავე კომპანიის დირექტორმა ნუკრი ლიპარტაშვილმა (დავით სონღულაშვილის მამიდაშვილი) და ერთ-ერთმა მეწილემ, დავით სონღულაშვილის ძმამ, იოსებ სონღულაშვილმა – 60.000-60.000 ლარი.

გარდა ამისა, „ქართულ ოცნებას" 50.000 ლარი შესწირა დავით სონღულაშვილის მამამ, ბიძინა სონღულაშვილმა, რომელიც 2000-2003 წლებში კახეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის თანამდებობაზე მუშაობდა.

კახეთის გუბერნატორის თანამდებობაზე მუშაობის დროს ფულის გასესხებით ბიძინა სონღულაშვილიც იყო დაკავებული.

2000-2003 წლებში წარდგენილ ყველა ქონებრივ დეკლარაციაში მას მითითებული აქვს, რომ 1993-1996 წლებიდან ზეპირი გარიგებით ჰქონდა გასესხებული 26.400 აშშ დოლარი, თუმცა ამის შედეგად მატერიალურ სარგებელს არ იღებდა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „რუსთავის აზოტიდან" გათავისუფლებული მუშები სამსახურში აღდგენას სამართლებრივი გზით შეეცდებიან

„რუსთავის აზოტიდან" გათავისუფლებული მუშები სამსახურში აღდგენას სამართლებრივი გზით შეეცდებიან.

როგორც საწარმოს პროფკავშირების წარმომადგენელმა გელა ბიჭიაშვილმა განაცხადა, მუშების გათავისუფლება შრომის კანონის დარღვევით მოხდა და ისინი სამართლიანობის აღდგენის მიზნით, აუცილებლად მიმართავენ სასამართლოს.

სამსახურიდან გათავისუფლებული მუშები გუშინ დილიდან საწარმოს შესასვლელთან იყვნენ შეკრებილები და ქარხნის ახალი მეპატრონის ქმედებას აპროტესტებდნენ.




საწარმოსთან მისული იყო პარლამენტის ფრაქცია „ევროპული საქართველოს" წევრი, დეპუტატი მამუკა ჩიქოვანი. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ფრაქცია „ევროპული საქართველო" მიმართავს მთავრობას და ეკონომიკის მინისტრისგან მოითხოვს კონკრეტულ პასუხს იმაზე, თუ რატომ მოხდა რამდენიმე ასეული თანამშრომლის „რუსთავის აზოტიდან" გაშვება.

– ქარხანა გაჩერებულია და თანამშრომლებს განუცხადეს, რომ ისინი გათავისუფლებულები არიან სამსახურიდან. რამდენიმე ასეულმა ადამიანმა დაკარგა სამსახური, ჩვენი ინფორმაციით კი 800-მდე თანამშრომელი დაკარგავს სამუშაო ადგილს, – განაცხადა მამუკა ჩიქოვანმა.

26 იანვრის დილით „რუსთავის აზოტის" თანამშრომლები საწარმოს ტერიტორიაზე დაცვის სამსახურმა არ შეუშვა. როგორც მუშებს განუცხადეს, ახალმა მენეჯმენტმა და საწარმოს ახალმა მეპატრონემ, რომელმაც ქარხანა ერთი თვის წინ შეიძინა, მათთან შრომითი ხელშეკრულება აღარ გააფორმა და სამსახურიდან დაითხოვა.

საწარმოს პროფკავშირების ინფორმაციით, გუშინ „რუსთავის აზოტიდან" 350 მუშა გაათავისუფლეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ურჩი და ნასვამი მძღოლების მიმართ სანქციები მკაცრდება

– საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში რეფორმის პაკეტის განხილვა საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე იგეგმება.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

არჩილ თალაკვაძის თქმით, ადმინისტრირება, შესაძლოა, გამკაცრდეს ისეთ დარღვევებზე, რომლებიც ავარიების ხშირი მიზეზია.

– ვგეგმავთ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, არასამთავრობო სექტორის ჩართულობით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში რეფორმის პაკეტი საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე განვიხილოთ და რაც შეიძლება, მოკლე დროში მივიღოთ.

ადმინისტრირება, შესაძლოა, გამკაცრდეს ისეთ დარღვევებზე, რომლებიც ავარიების ხშირი მიზეზია – სიჩქარის გადაჭარბება, არასწორი მანევრირება, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართვა და სხვა.

მოხდება მართვის მოწმობის გამოცდის გადატანა რეალურ მოძრაობაში, რაც მართვის მოწმობას გახდის უფრო საიმედოს და მძღოლების საწყის კვალიფიკაციას უფრო მაღალს, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

არჩილ თალაკვაძის თქმით, შესაძლოა, დაინერგოს ქულების სისტემა, რომლის საშუალებითაც წლის განმავლობაში ის, ვინც საპატრულო პოლიციის მიერ პირადად დაჯარიმდება, დაკარგავს ქულებს და პირობითად 100-ქულიანი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ მოუწევს მართვის მოწმობის შეჩერება ან შეწყვეტა და გამოცდის თავიდან ჩაბარება.

თალაკვაძე მიიჩნევს, რომ ამ სისტემით ის მძღოლებიც, რომელთაც ჯარიმების გადახდა ადვილად შეუძლიათ, მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ.

არჩილ თალაკვაძე მიიჩნევს, რომ საჭიროა მძღოლების, მგზავრების და ქვეითების ინფორმირება და ცნობადობის ამაღლება საგზაო მოძრაობის შესახებ.

– საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხოების ძირითადი წესების დაცვა, ღვედის გამოყენება, საჭესთან მობილური ტელეფონით სარგებლობის აკრძალვა თუ გადასასვლელებზე გზის დათმობა.

ეს ელემენტარული წესები ხშირად, სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის ტოლფასია და ამის შესახებ რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია. ეს იქნება კარგად დაგეგმილი და წარმატებული რეფორმა, რომელიც პარლამენტის, მთავრობის და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდება და უკვე 1 წელიწადში მოგვცემს შედეგებს, გადაარჩენს ბევრი ადამიანის სიცოცხლეს, დაიცავს ბევრის ჯანმრთელობას და საქართველოში მოძრაობას გახდის უფრო უსაფრთხოს, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.



* * *

განიხილება უკონტაქტო პატრულირების დანერგვა სამოქალაქო მანქანებით, რომელთაც სპეციალური ნიშანი აქვს მხოლოდ უკანა მხარეს და რომელსაც ასევე საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მართავს.

– ეს სისტემა საგზაო უსაფრთხოებას და ჩვენს მოქალაქეებს დაიცავს მაშინაც კი, როცა დამრღვევ მძღოლს ჰგონია, რომ საპატრულო ეკიპაჟი ახლო-მახლო არ არის. შესაძლოა, მოხდეს სიჩქარის მოძრავი დეტექტორების გამოყენება. დღეს ასეთი დეტექტორები მხოლოდ სტაციონარულად, ბოძებზე არის დამაგრებული და დამრღვევი მძღოლები ხშირად სიჩქარეს ანელებენ ბოძთან გავლისას, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

მომავალში შესაძლოა, გადასატანი დეტექტორები იქნეს გამოყენებული, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას იქნება განთავსებული.

– უნდა მოხდეს ქალაქების და გზების დაფარვა ახალი, „ჭკვიანი" ვიდეოკამერებით, რომელთა მონტაჟიც უკვე დაწყებულია. ეს ვიდეოკამერები რეაგირებას მოახდენს დარღვევებზე და იქნება ჩართული ოპერატიული მართვის ერთიან ცენტრში, რომელიც შს სამინისტრომ ახლახან შექმნა რეფორმის ფარგლებში. ამ სისტემას ექნება საგრძნობი პრევენციული ეფექტი, – დასძინა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

# ონლაინსესხების მფლობელები მთავრობის წინააღმდეგ

– ონლაინ საკრედიტო კომპანიებზე ახალი რეგულაციების დაწესებით ონლაინსესხის გამცემი კომპანიების შემოსავალი 5-10-ჯერ შემცირდება. შედეგად ორგანიზაციათა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდება და ბაზარზე მხოლოდ მსხვილი კომპანიები დარჩებიან.

ასეთია ონლაინ სასესხო კომპანიების შეფასება და მოლოდინი იმ რეგულაციებზე, რომლებიც 16 იანვრიდან შევიდა ძალაში.

საუბარია სამოქალაქო კოდექსში შესულ ცვლილებებზე, რომელთა თანახმად, ხელისუფლებამ ონლაინსესხების საპროცენტო განაკვეთის ლიმიტი დააწესა და სესხის საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზედა ზღვარი განსაზღვრა. კერძოდ, გაცემული სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100%-ს; პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა კი ჯამურად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

* * *

კომპანია „ოკკრედიტის" საკრედიტო რისკების განყოფილების უფროს შალვა წიგნაძის შეფასებით, სახელმწიფო საკუთარ მუშტს ირტყამს ცხვირში.

როგორც წიგნაძემ ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას აღნიშნა, ეს ცვლილებები ისევ ბიუჯეტზე აისახება უარყოფითად.

– შემოსავლის შემცირების პარალელურად კომპანიებს მოგებაც შეუმცირდებათ და ნაკლები მოგების გადასახადი შევა ბიუჯეტში. შემოსავლის კლება დანახარჯის კლებასაც გამოიწვევს. ეს კომპანიები შეამცირებენ რეკლამებს, მარკეტინგულ მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს, შედეგად მოგება შეუმცირდება მარკეტინგულ კომპანიებსაც და ბიუჯეტში აქედანაც ნაკლები გადასახადი შევა, – აღნიშნავს შალვა წიგნაძე.

მისივე თქმით, კომპანიების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 500-დან 1.000%-მდე მერყეობდა. შესაბამისად, ცვლილებების შედეგად მათი შემოსავალი 5-10-ჯერ შემცირდება.

– რეგულაციები ბაზრის დიდ წილს შეამცირებს და ოპერირებას მხოლოდ დიდი მოთამაშეები გააგრძელებენ. დღეს ბაზარზე დაახლოებით 60 კომპანიამდეა. 1 წლის შემდეგ კი მაქსიმუმ 15, ისიც უმსხვილესი კომპანია დარჩება. კომპანიებს 10-დან 70%-მდე აქტივები ვადაგადაცილებული აქვთ. შესაბამისად, იმისთვის, რომ საქართველოში ონლაინ სასესხო კომპანიამ არსებობა შეძლოს, მინიმალური საპროცენტო წლიური განაკვეთი 250% უნდა იყოს, – აღნიშნა წიგნაძემ.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების" საბანკო პროდუქტების ექსპერტ ანი ალიბეგაშვილის თქმით, სესხის გაცემის პირობების გამკაცრებაც მოუწევთ.

მისივე თქმით, ონლაინ სასესხო კომპანიებს რიგ შემთხვევებში სარგებელი 4-5-ჯერ შეუმცირდებათ.

– მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში, გაცემული სესხების გარკვეული პროცენტული რაოდენობის დაბრუნების შემთხვევაშიც კი იმხელა თანხის ამოღება ხდებოდა, რომ კომპანიას მაინც ჰქონდა ბაზარზე საქმიანობის გაგრძელების საშუალება. დღეს კი, ცვლილებების შედეგად, კომპანიებს რისკები გაეზრდებათ, რის გამოც დაიწყებენ მსესხებლის, დაინტერესებული პირის შემოსავლების შესწავლას, რათა გარანტია ჰქონდეთ, რომ მათი სესხი დროულად დაბრუნდება.

შედეგად, ყველაზე ველარ შეძლებენ სესხის გაცემას, შესაძლოა, მსესხებლის ასაკი განსაზღვრონ არა 18 წლიდან, არამედ 21 ან 24 წლიდან, – ამბობს ალიბეგაშვილი.

„საზოგადოება და ბანკების" მიერ 2016 წლის აპრილში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, ბოლო 2 წლის განმავლობაში ონლაინსესხების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებით 4 მილიონი ჩანაწერია გაკეთებული, საიდანაც 300 ათასიდან 400 ათასამდე, ანუ 7-10% ვადაგადაცილებულია.

გაცემული ონლაინსესხების საგანგაშო რაოდენობაზე საუბრობს პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში მაია მელიქიძე და აღნიშნავს, რომ მათი დატვირთვა რადიკალურად განსხვავებულია, რადგან ზოგიერთი ადამიანი სესხს თამაშისთვის იღებდა.

მისივე ცნობით, ჯამში, 400 მილიონი ონლაინსესხია გაცემული მაშინ, როცა ქვეყანაში მოსახლეობა 3,7 მილიონია. ამ რაოდენობაში კი შედიან ბავშვებიც და 65 წლის ზემოთ მყოფი ადამიანებიც, რომლებიც ონლაინსესხებით ვერ სარგებლობენ.

ონლაინსესხების, მიკროსაფინანსოებისა და ბანკების ახალ რეგულაციებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტს პრეზიდენტმა ხელი 13 იანვარს მოაწერა. შესაბამისად, ონლაინსესხის გამცემ კომპანიებს ოპერირების გაგრძელება უკვე ახალი პირობებით უწევთ.

# კაბელების საქმეზე მსჯავრდებულებს სასჯელი შეუმცირეს

## ისინი საპატიმროს 2 თვეში დატოვებენ

კაბელების საქმეზე თავდაცვის სამინისტროს 5 ყოფილ მაღალჩინოსანს სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ვადა შეუმცირა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მუხლი, რომლითაც მსჯავრდებულები გასამართლდნენ, გადაკვალიფიცირდა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რის საფუძველზეც მსჯავრდებულებს სასჯელის ვადა შეუმცირდათ.

თავდაცვის სამინისტროს 5 ყოფილ მაღალჩინოსანს: გიზო ღლონტს, გიორგი ლობჟანიძეს, არჩილ ალავიძეს, ნუგზარ კაიშაურსა და დავით წიფურიას სააპელაციო სასამართლომ სასჯელის სახით 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ადვოკატების თქმით, ყოფილი მაღალჩინოსნები საპატიმროს დაახლოებით 2 თვეში დატოვებენ.

კაბელების საქმეზე თავდაცვის სამინისტროს 5 მაღალჩინოსანი 2014 წლის 28 ოქტომბერს დააკავეს. მათ ბრალად 4 მილიონ ლარზე მეტი საბიუჯეტო თანხის გაფლანგვა ედებათ.

ბრალდებულებს თავდაპირველად წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ, თუმცა დაკავებიდან 8 თვის შემდეგ პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა და პატიმრობის ნაცვლად 10.000-ლარიანი გირაო მოითხოვა. მოსამართლე დავით ჯუღელმა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები თავდებობის საფუძველზე გაათავისუფლა.

2016 წლის 16 მაისს კი თავდაცვის სამინისტროს 5 ყოფილი მაღალჩინოსანი თბილისის საქალაქო სასამართლომ წარდგენილ ბრალში დამნაშავედ ცნო და 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

დაცვის მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

❖ ❖ ❖

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერის შალვა შავგულიძის შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ისეთივე პოლიტიკურია, როგორიც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო.



როგორც შავგულიძემ განმარტა, საქმე საბოლოოდ, თუ საჭირო გახდება, წავა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში და იქ დადგება აღნიშნული პირების მიმართ გამამართლებელი განაჩენი.

– აბსოლუტურად ისეთივე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, როგორიც აქამდე იყო ამ პირთა მსჯავრდება, უბრალოდ, შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი შემცირდა, ვინაიდან თავად სასამართლოსთვისაც ნათელია, რომ აქ გამამტყუნებელი განაჩენი საბოლოოდ თავს ვერ დაიჭერს. თუ საჭირო გახდება, ევროპის სასამართლოში წავა ეს საქმე და საბოლოოდ იქ გამართლებით დასრულდება.

რაღაც შერბილებისკენ წავიდნენ, რომ იქნებ ასე დამთავრდეს ყველაფერი, მაგრამ მე ვიცი მსჯავრდებულების განწყობა. ისინი არ აპირებენ ამასთან შეგუებას, თავი მიაჩნიათ უდანაშაულოდ და სრულიად მართებულად. ასევე, ვიცი ადვოკატების მზაობა და ჩვენი პოლიტიკური გუნდიც ბოლომდე გვერდში ვედგებით, ვიდრე სამართალი არ დადგება ამ საკითხზე და ეს საქმე კვლავ გამამართლებელი განაჩენით არ დამთავრდება, – განაცხადა შალვა შავგულიძემ.

❖ ❖ ❖

– კაბელების საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ საქმე პოლიტიკურად მოტივირებული არ იყო, როგორც ამაზე პოლიტიკური ოპონენტები საუბრობენ.





ამის შესახებ ინტერპრესნიუსს პარლამენტის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ განუცხადა.

– ნებისმიერ პოლიტიკურ მოტივაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. ქვეყანაში სასამართლო არსებობს, სასამართლო მოქმედებს და გადაწყვეტილება მიიღო მან. ვფიქრობ, რომ კაბელების საქმეზე დაპატიმრებულმა პირებმა დანაშაულისთვის დიდი ვადა მოიხადეს. საქმე გადაკვალიფიცირდა და მუხლი, რომელიც მათ მიუყენეს, ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს. ისინი ციხიდან ორ თვეში გამოვლენ, მაგრამ დანაშაული რომ ჩადენილი იყო, ეს არავის უარუყვია, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

# არასრულწლოვანთან სექსში ბრალდებულ მანდატურს 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

სასამართლომ თერჯოლის №1 სკოლის მანდატურს, რომელიც 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებაშია ბრალდებული, 10.000 ლარის ოდენობით აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა.

პროკურატურა მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას ითხოვდა.

პროკურატურამ წინასწარი შეცნობით 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ფაქტზე, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ყოფილ მანდატურს კ. ფ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ თერჯოლის 1-ლი საჯარო სკოლის მანდატურმა კ.ფ.-მ 2016 წლის სექტემბრის დასაწყისში, მეზობელი და იმავე სკოლის მოსწავლე, 15 წლის გოგონა სოციალური ქსელის საშუალებით შეხვედრაზე დაითანხმა და დაუსახლებელ ადგილზე, მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.

სამართალდამცველებმა კ.ფ. სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

საქმეზე გრძელდება გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით (სქესობრივი კავშირი წინასწარი შეცნობით 16 წელს მიუღწეველთან), რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან ცხრა წლამდე ვადით ითვალისწინებს.

პროკურატურა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

# „რომპეტროლის" დაყაჩაღების საქმეზე დაკავებული უდანაშაულოდ ცნეს

ოზურგეთში „რომპეტროლის" დაყაჩაღებაში ბრალდებული და დაკავებული დ. ტაკიძე, ადვოკატის მიერ მომხდარის ადგილიდან ამოღებული ვიდეო და ფოტო მასალის წარდგენის საფუძველზე, გუშინ ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე გიორგი ზვიადაძე), უდანაშაულოდ ცნო.

27 წლის დავით ტაკიძეს, რომელიც შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ყაჩაღობის ბრალდებით ოზურგეთში 2015 წლის აპრილის თვეში დააკავეს, სასამართლომ წარდგენილი ბრალი მოუხსნა.

ამის შესახებ „გურიის მოამბეს" ბრალდებულის ადვოკატმა დავით ჯაფარიძემ აცნობა.

ადვოკატის ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეში ტაკიძის მონაწილეობა თავიდანვე შეთითხნილი იყო და ის პოლიციელ გურამ სალუქვაძის პატაკის საფუძველზე დააკავეს.

პატაკში სალუქვაძე ირწმუნებოდა, რომ ერთ-ერთი დამყაჩაღებელი სწორედ ტაკიძე იყო.

დავით ჯაფარიძე საქმის შეთითხნასა და უდანაშაულო ადამიანის უკანონო პატიმრობაში ბიძაშვილებს, პეტრე და გურამ სალუქვაძეებს ადანაშაულებდა, რომელთაგან პირველი პროკურორია, მეორე კი – პოლიციელი.

ის თავიდანვე ირწმუნებოდა, რომ პოლიციას დავით ტაკიძის სახელი და გვარი პეტრე სალუქვაძემ და რეალურმა დამყაჩაღებლებმა ერთობლივად მიაწოდეს.

დაკავებულის წინასწარი პატიმრობის ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე ზვიადაძე) განიხილა, დაეტოვებინა თუ არა პატიმრობაში დავით ტაკიძე. ადვოკატმა მაშინ დაკავებულის 30 ათასი ლარის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების საკითხი დააყენა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

ტაკიძისთვის ბრალის სრულად მოხსნისა და გათავისუფლების მოთხოვნით ადვოკატმა სასამართლოს ისევ მიმართა.



პროცესი გუშინ, 26 იანვარს, გაიმართა.

დავით ჯაფარიძის თქმით, თავიდანვე ნათელი იყო, რომ თავდამსხმელის მიერ შემთხვევის ადგილთან დაგდებულ ქუდზე აღმოჩენილი დავით ტაკიძის გენეტიკური პროფილი ვერ იქნებოდა მამხილებელი მტკიცებულება.

– სამწუხაროა, რომ მხოლოდ გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დავით ტაკიძეს ჯერ ბრალი წაეყენა, ხოლო შემდეგ კი დააპატიმრეს, – განაცხადა ადვოკატმა სასამართლოზე.

მისი თქმით, დადგინდა, რომ აღნიშნული ქუდი, ბრალდებულის გარდა, ასევე ეხურა მის მამას და ქუდის მეპატრონე ამირან ტაკიძესაც და ასევე, მათ ნაცნობ რევაზ ტაკიძესაც.

– ჩემს კითხვებზე – შესაძლებელი იყო თუ არა ქუდზე ბიოლოგიური კვლების დატოვების თარიღის დადგენა, ექსპერტებმა განმარტეს, რომ აღნიშნულის დადგენა შეუძლებელია, – აღნიშნა ადვოკატმა.

ექსპერტმა გიორხელიძემ დისტანციური დაკითხვისას ასევე განაცხადა, რომ ვერც ის დადგინდება, საერთოდ ეხურათ თუ არა ხსენებული ქუდი იმ პირებს, რომელთა გენეტიკური პროფილებიც მასზე აღმოჩნდა.

– ამდენად, ბრალდების მხარის ერთადერთი მტკიცებულება ბოლომდე გაბათილდა და პროკურორის ეჭვები გაქარწყლდა, – განაცხადა დავით ჯაფარიძემ.

მან მადლობა გადაუხადა პროკურორ პეტრე სალუქვაძეს ამირან ტაკიძისა და რევაზ ტაკიძის მიმართ გენეტიკური ექსპერტიზის დანიშვნის გამო, ვინაიდან ბრალდებულის ოჯახი ამ ექსპერტიზის ხარჯებს გადაურჩა.

დაცვის მხარის მტკიცებულებებით, კერძოდ, „რომპეტროლიდან" ამოღებული ვიდეომასალით, ბრალდებულის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმითა და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით ცალსახად და უტყუარად იქნა დადგენილი, რომ ვიდეოკადრებში ასახული ბოროტმოქმედი ბრალდებულ დავით ტაკიძეზე ბევრად დაბალი და ტანსრულია.

❖ ❖ ❖

„რომპეტროლის" დაყაჩაღების საქმე შსს-მ გახსნილად 2015 წლის აპრილში, მომხდარიდან მალევე გამოაცხადა.

შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1990 წელს დაბადებული დავით ტაკიძე ყაჩაღობის ბრალდებით ოზურგეთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული თანამზრახველთან ერთად 14 აპრილს ოზურგეთში, ალმაშენებლის ქუჩაზე მდებარე „რომპეტროლის" ბენზინგასამართ სადგურში ნიღბითა და პისტოლეტით შეიარაღებული შეიჭრა. მათ ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 300 ლარი გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ნიღბები და ცეცხლსასროლი იარაღი შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობდა (საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

**თეა იოსელიანი, გურიის მოამბე**

# შსს-მ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 2 პირი დააკავა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული ზ.ბ. და 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.გ., ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზ.ბ. შპს „კაპიტალ გრუპის" კუთვნილი მიკროავტობუსის მოიჯარე მძღოლს თბილისში, ერთ-ერთ სამარშრუტო ხაზზე მუშაობის სანაცვლოდ, გარკვეულ თანხას სისტემატურად, უკანონოდ სძალავდა.

მიმდინარე წლის იანვარში, მოიჯარე მძღოლმა ზ.ბ.-ს თანხის მიცემა შეუწყვიტა, რის გამოც, დავის გადაწყვეტის მიზნით, ზ.ბ. ქურდული სამყაროს წევრ რ.გ.-ს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა.

ასევე დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 17 იანვარს რ.გ.-მ და ზ.ბ.-მ, სარგებლის მიღებისა და დაზარალებულზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ე.წ. „ქურდული გარჩევა" მოაწყვეს, სკაიპის მეშვეობით დაუკავშირდნენ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ კანონიერ ქურდ ლ. ხ.-ს, რომელმაც მხარეების მოსმენის შემდეგ გადაწყვიტა, რომ, „ქურდული კანონების" თანახმად, დაზარალებულ მძღოლს ზ.ბ.-სთვის კვლავ უნდა ეხადა გარკვეული თანხა.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ანგელა მერკელი რუსული პროპაგანდის სამიზნე გახდა

ევროკავშირის ანალიტიკური სამსახურის აზრით, რუსული პროპაგანდის უმთავრესი სამიზნე გერმანიის კანცლერი გახდა.



მოსალოდნელია პროპაგანდისტული შეტევა მერკელზე. კრემლის შეშფოთებას იწვევს შემდეგი ციფრები: გერმანაში მოსახლეობის 63% ერთიანი ევროპის შენარჩუნების მომხრეა, პირადად მერკელის რეიტინგი კი 55%-ია. ასეთი მხარდაჭერა დღეს დასავლეთ ევროპაში არცერთი სახელმწიფოს მეთაურს არა აქვს.

ევროპელი ანალიტიკოსების აზრით, რუსეთი ევროპის არჩევნებში აუცილებლად ჩაერევა. ეს თანაბრად შეეხება როგორც საფრანგეთს, ასევე გერმანიასაც. რუსების მიზანი ანგელა მერკელის ჩაძირვაა.

# ტრამპი სირიაში უშიშროების ზონების შექმნას აპირებს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პენტაგონის ხელმძღვანელობასთან თათბირი გამართა. ამის შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სირიაში უსაფრთხოების ზონების შექმნას აპირებს.

– ეს იქნება ტერიტორია, სადაც აკრძალულია სამხედრო თვითმფრინავების ფრენა, სამხედრო ტექნიკის გადაადგილება, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ჰილარი კლინტონის თეზისი გაიმეორა. არჩევნების დროს ტრამპი ამის გამო მისის კლინტონს მკაცრად აკრიტიკებდა, ახლა კი იმის განხორციელება სურს, რასაც ჰილარი კლინტონი მოითხოვდა.

# დონალდ ტრამპმა მექსიკის საზღვართან კედლის შენების თაობაზე განკარგულებას ხელი მოაწერა

## მექსიკა კედლის აშენების ხარჯებს არ გადაიხდის

დონალდ ტრამპმა მექსიკის საზღვართან კედლის შენების თაობაზე განკარგულებას ხელი მოაწერა.

ალნიშნული საკითხი დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო დაპირების ნაწილი იყო.

– ჩვენ მალე დავიწყებთ ამ საკითხზე მოლაპარაკებებს, რაღაც ფორმით მექსიკა აგვინაზღაურებს ხარჯებს, – განაცხადა ტრამპმა.

მისი თქმით, ერი, რომელსაც საზღვრები არ აქვს, ერი არ არის.

– დღევანდელი დღიდან დაწყებული, აშშ იბრუნებს კონტროლს თავის სამხრეთ საზღვრებზე. ჩვენი ურთიერთობები მექსიკასთან უკეთესი გახდება. ჩვენ შევძლებთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების ახალ დონეზე აყვანას, – დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ალნიშნული განკარგულება ახლა აშშ-ის კონგრესმა უნდა დაამტკიცოს.

მექსიკის პრეზიდენტი ენრიკე პენია ნიეტო აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

– დღეს აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ეხება: იმიგრაციული ზომების მიღებასთან და საზღვარზე კედლის აშენებასთან დაკავშირებით. საპასუხოდ მე დავავალე საგარეო საქმეთა



მინისტრს, გააძლიეროს ჩვენი თანამოქალაქეების დაცვის ზომები. აშშ-ში მდებარე მექსიკის 50 საკონსულო მიგრანტების უფლებების დაცვის ცენტრებად იქცევა, – წერს ენრიკო პენია ნიეტო ფეისბუქის პირად გვერდზე.

ის წუხს და გმობს აშშ-ის ამ გადაწყვეტილებას.

– კედლის აშენების გაგრძელება ჩვენ კი არ გაგვაერთიანებს, არამედ, დაგვაშორებს. მექსიკას არ სჯერა კედლების. ადრე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: მექსიკა ამ კედლის აშენების ხარჯებს არ გადაიხდის, – აღნიშნა მექსიკის პრეზიდენტმა.

# მადლენ ოლბრაითი მზად არის, ისლამი მიიღოს

ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკის პროტესტის ნიშნად აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, დემოკრატების წევრმა მადლენ ოლბრაითმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ტრამპის მიერ საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების პროტესტის ნიშნად მზად არის, ისლამი მიიღოს.

ალნიშნულის შესახებ მადლენ ოლბრაითმა ტვიტერის პირად გვერდზე დაწერა.

– მე გავიზარდე, როგორც კათოლიკე, შემდეგ ანგლიკანურ ეკლესიაში გადავედი, ხოლო შემდგომში აღმოვაჩინე, რომ ჩემი ოჯახი ებრაული იყო. მზად ვარ, ისლამი მივიღო სოლიდარობის ნიშნად, – აღნიშნა მადლენ ოლბრაითმა.



მისი თქმით, ამერიკა თავისუფალი უნდა დარჩეს ნებისმიერი მრწამსისა და წარმომავლობის ადამიანებისთვის.

ოთხშაბათს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას საიმიგრაციო პოლიტიკისა და სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების შესახებ.

ტრამპი 120 დღით შეაჩერებს აშშ-ში დევნილების მიღების პროგრამას, ასევე 30 დღემდე შეაჩერებს ვიზების გაცემას ერაყის, ირანის, იემენის, ლიბიის, სირიის, სომალისა და სუდანის მოქალაქეებისთვის.

2016 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მადლენ ოლბრაითი მკაცრად აკრიტიკებდა დონალდ ტრამპს. მაშინ აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ტრამპმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობით აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას ზიანი მიაყენა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ევროპარლამენტმა უკრაინის თაობაზე რეზოლუცია მიიღო

ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ უკრაინაში შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა.

დეპუტატები შეთანხმდნენ, რომ დონბასში არა შიდა კონფლიქტი, არამედ რუსული აგრესიაა. რადგან ასეა, სანქციების გაუქმებაც დაუშვებელია. პრორუსულად განწყობილი დეპუტატების მცდელობა, ეს სიტყვები ტექსტიდან ამოეღო, მარცხით დასრულდა.



რეზოლუციაში დაფიქსირდა, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას აწარმოებს.

ასამბლეამ ყურადღება გაამახვილა უკრაინაში კორუფციის მაღალ დონეზე.

– უკრაინაში მიმდინარეობს პოზიტიური დემოკრატიული რეფორმები, იქმნება დემოკრატიული ინსტიტუტები, მაგრამ შეშფოთებას იწვევს კორუფციის მაღალი დონე, – ნათქვამია რეზოლუციაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# დევიდ ბექჰემმა შვილი სკოლის გაცდენაში ამხილა

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა თავისი შვილი, ბრუკლინი, როდესაც მას ონლაინტრანსლაცია მიჰყავდა, სკოლის გაცდენაში ამხილა.

17 წლის უმცროსი ბექჰემი ინსტაგრამში თაყვანისმცემლებს კითხვებზე პასუხობდა. მოულოდნელად მის ტრანსლაციაში ყოფილი ფეხბურთელი ჩაერთო.

– შენ ახლა სკოლაში უნდა იყო, – დაწერა უფროსმა ბექჰემმა და იქვე აღნიშნა, რომ შვილმა მისი პერანგი აიღო.

შეგახსენებთ, რომ დევიდ ბექჰემმა თავისი პროფესიონალური კარიერა 2013 წელს დაასრულა. ბოლო კლუბი, სადაც ინგლისელმა ნახევარმცველმა ითამაშა, „პარი სენ-ჟერმენი" იყო. ასევე ის თამაშობდა „მანჩესტერ იუნაიტედში", მადრიდის „რეალში", „ლოს-ანჯელეს გელექსისა" და „მილანში".

მან 1999 წელს იქორწინა ჯგუფ „სპაის გერლსის" ყოფილ სოლისტ ვიქტორია ადამსზე. წყვილს ჰყავს ოთხი შვილი: ბრუკლინი, რომეო, კრუზი და ჰარპერი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




# დილის ტელეშოუს სტუმარი მექანიკური ორანგუტანგი გახდა

ბრიტანული ტელევიზიის ბი-ბი-სის დილის გადაცემაში სტუმრად მიწვეული იყო ორანგუტანგი-ანიმატრონიკი. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



რობოტი, რომლის გარეგნობა სრულად იმეორებს პრიმატების გარეგნობას, ცხოველებზე თვალის სადევნებლად შეიქმნა. მომავალში მას ბუნებაში გაუშვებენ, რათა ვიდეოკამერების დახმარებით, რომლებიც მის თვალებშია ჩამონტაჟებული, ორანგუტანგების ქცევები შეისწავლონ. მის მიერ გადაღებული მასალები ცხოველებზე გადაცემებს დაედება საფუძვლად.

ტელეწამყვანმა ჩარლი სტეიტმა მაყურებლებს აუხსნა, რომ რობოტს შეუძლია მიბაძოს თავის ცოცხალ პროტოტიპებს, რაც მას მათ შორის „ჩანერგვის" საშუალებას მისცემს.

რობოტი-ანიმატრონიკი – არის მოდელი, რომელიც ყველა აუცილებელ მოძრაობაზეა დაპროგრამებული, მათ შორის მიმიკაზეც. ჩონჩხი და ძრავები, მანქანის მართვის მოწყობილობა ხელოვნური ტყავითაა დაფარული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ყველა მეოთხედფინალისტი ცნობილია



კალათბურთში საქართველოს თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საკვალიფიკაციო მატჩებში 4 გუნდი ტურნირის ძირითად, მეოთხედფინალურ ბადეში მოსახვედრად იბრძოდა. სუპერლიგის გუნდები – ოლიმპი და მგზავრები – ა ლიგის წარმომადგენლებს, თსუ-ჰიუნდაისა და არენას შეხვდნენ.

**ოლიმპი-თსუ 82:80**

**(16:23, 26:24, 23:25, 17:8)**

მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა – ა ლიგის წარმომადგენელი თითქმის მთელი თამაში უგებდა ოლიმპს. რიგ მომენტებში ლიდერობდა – 7-9 ქულამდეც ადიოდა, თუმცა სასურველი ანგარიშის შენარჩუნება ბოლომდე ვერ მოახერხა.

ოლიმპი პირველად შეხვედრის დასრულებამდე 30 წამით ადრე დაწინაურდა, როცა სწრაფი გარღვევა შედეგიანად დააგვირგვინა მატჩის ბომბარდირმა ტრე ბურნეთმა – 81:80. გადამწყვეტ შეტევაში თსუ-მ ბურთი ველარ ჩააგდო, რის შემდეგაც ოლიმპმა სამქულიანი ააცილა, თუმცა ფარიდან ასხლეტილ ბურთს მათივე მოთამაშე ირაკლი მიქელაძე დაეპატრონა და ჰიუნდაელებმა ტაქტიკური ჯარიმა აიღეს.

შეხვედრის დასრულებამდე 3,5 წამით ადრე მიქელაძემ 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და ოლიმპი 82:80 დააწინაურა. დარჩენილ მცირე დროში თსუ-ს ამერიკელმა გამთამაშებელმა კრისტოფერ ანდერსონმა მოასწრო მეტოქის ნახევარზე გადასვლა და გამთანაბრებელი ორქულიანის სროლა, რომელიც ფარში არ ჩაეშვა და თასის მეოთხედფინალში ოლიმპი გავიდა.

ოლიმპელთა შორის 29 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო შედეგი ტრე ბურნეთმა დააფიქსირა. თსუ-ჰიუნდაიში 22-22 ქულით მეთიუ გლოვერი და კრის გაბრიელი გამოირჩნენ.

**მგზავრები-არენა 90:84**

**(24:22, 25:21, 23:15, 18:26)**

თასის გათამაშების ბოლო მეოთხედფინალისტი მგზავრები გახდა, რომელმაც არენას 90:84 სძლია. შეხვედრის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა, მანამდე კი საკმაოდ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა პირველი ტაიმი, რის განმავლობაშიც ლიდერი 14-ჯერ შეიცვალა. მესამე მეოთხედი მგზავრებმა 23:15 მოიგეს და, მიუხედავად იმისა, რომ 12 ქულით გალიდერდნენ, არენამ ბოლო პერიოდში მეტოქესთან მიახლოება მოახერხა. ბოლო წუთებზე მგზავრებმა მეტი სიზუსტე გამოავლინეს და გამარჯვებაც მოიპოვეს.

თასის მეოთხედფინალისტს 25 ქულით ოთარ ფხაკაძემ ულიდერა. 14 ქულა მოაგროვა დარნელ ტეილორმა, ხოლო 13 – კაშინ რენსომმა. მატჩის ბომბარდირი გახდა არენელი პიტერ ალექსისი 28 ქულით, რომელსაც ასევე 13 მოხსნა ჰქონდა. 20 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა როდნერიუს ლუისის ანგარიშზე.

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალისტები დაკომპლექტდნენ და ყველა გუნდი სუპერლიგისაა.

# ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები გაირკვა

უეფას შტაბ-ბინაში 21-წლამდელთა შორის ევროპის 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა და, უნდა ითქვას, რომ ამჯერად ჩვენებს გაცილებით იოლი მეტოქეები ერგოთ, ვიდრე გასულ წლებში.

გია გეგუჩაძის ნაკრები მესამე ჯგუფში მოხვდა დანიასთან, პოლონეთთან, ფინეთთან, ლიტვასა და ფარერებთან ერთად.

ამ ექვსეულიდან ჯგუფის გამარჯვებულები პირდაპირ გაინაღდებენ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს, ხოლო 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი კი პლეი-ოფში დამატებით ორ საგზურს გაითამაშებს.

შესარჩევი ციკლი 2017 წლის მარტიდან დაიწყება, ტურნირის ფინალურ სტადიას კი იტალია და სანმარინო უმასპინძლებენ.

# ფუტსალისტებმა შოტლანდია გაანადგურეს

**საქართველო-შოტლანდია 11:0**

**თბილისი. ოლიმპიური სასახლე**

**1:0, 2:0, 3:0, 4:0 სებისკვერაძე, 5:0 მოლისონი (ს.კ), 6:0 ტიკურიშვილი, 7:0 ნიშნიანიძე, 8:0 ტიკურიშვილი, 9:0, 10:0 თოფურია, 11:0 ბოზოხიძე**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე მატჩში საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა შოტლანდია არ დაინდო და 11:0 გაანადგურა.

პირველი ტაიმი არჩილ სებისკვერაძის ბენეფისად იქცა – ქართველმა ფეხბურთელმა პოკერი შეასრულა. ჩვენებურის გატანილ გოლებს თავად შოტლანდიელები არ დასჯერდნენ და მათმა კაპიტანმა მოლისონმა საკუთარ კარში გაიტანა მე-5 გოლი, რასაც ტიკურიშვილმა 10-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით კიდევ ერთი წაამატა.

პირველ ტაიმში ქართველებს კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდათ. მათგან ერთი – 10-მეტრიანი საჯარიმო.

მე-2 ტაიმში ქართველებმა გაცილებით მშვიდ ტემპში ითამაშეს, მაგრამ საგოლე მომენტები უფრო პროდუქტიულად გამოიყენეს: ტიკურიშვილმა, ნიშნიანიძემ, თოფურიამ და ბოზოხიძემ (2) კიდევ 5 გოლი გაიტანეს და სოლიდური სხვაობით იმარჯვეს.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კუპატაძე, ჭანუყვაძე, ნიშნიანიძე, რონინიო, სებისკვერაძე; ჯამბურია, ლუკავა, თოდუა, თოფურია, კობაიძე, მაისაია, კურტანიძე, ტიკურიშვილი

ჯგუფის მეორე შეხვედრაში შვეიცარიამ ისრაელს პირველივე ტაიმში 3:0 მოუგო, მეორეში კი ანგარიში აღარ შეცვლილა.

ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრა დღეს გაიმართება – 20 საათზე ერთმანეთს საქართველოსა და შვეიცარიის ნაკრებები შეხვდებიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 14-0 | 6 |
| 2.შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 3.ისრაელი | 2 | 2 | 0 | 2 | 0-6 | 0 |
| 4.შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 2 | 2-14 | 0 |

# შედეგები

**25 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

ეგვიპტე-განა ........................................ 1:0
უგანდა-მალი ........................................ 1:1

**ინგლისი. ლიგის თასი**

ლივერპული-საუთჰემპტონი .......... 0:1

**ჩემპიონლიგა**

ლიდსი-ნოტინგემი ........................ 2:0

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ეიბარი-ატლეტიკო ........................ 2:2
სელტა-რეალი ........................................ 2:2

**იტალია. თასი**

იუვენტუსი-მილანი ........................ 2:1

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

მონაკო-ნანსი ........................................ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-სტ.ჯონსონი .................... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-ირაკლისი ............................ 0:1

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

ფედერერი-ვავრინკა
7:5,6:3,1:6,4:6,6:3

**ქალები**

ვანდევეი-ვ.უილიამსი ......... 7:6,2:6,3:6
ლუჩიჩი-ს.უილიამსი ................ 2:6,1:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# 21-ე საუკუნეში ეროვნული ნაკრების მატჩების ნახვა გაჭირდა

**იორდანია – საქართველო 1:0**

**დუბაი. თეიაბ ავანა სთედიუმი**

**1:0 ალდარდური (45)**



**იორდანია:** შაფი, რავაშდე, ხატაბი, ზავაჰრე, დმერე, აბუამარა (რავაშდე 61), აბდულრაჰამანი, აიედი (აბუ დები 89), ალტამარი (ტალი 69), ფაისალი (ალბავაბი 79), ალდარდური (სამირი 70)

**საქართველო:** მიგინეიშვილი, უ.ლობჟანიძე (გრიგალაშვილი 63), ტაბიძე, ხოჭოლავა, ს.ლობჟანიძე (ქიმაძე 79), დვალიშვილი, ზივზივაძე (არაბული 46), კიტეიშვილი, ტუღუში (მამასახლისი 82), შერგელაშვილი (განუგრავა 88), შონია (ხარაიშვილი 85)

აბა, რა გითხრათ თამაშზე, რომელიც თითქმის არ გვინახავს. ვნახეთ მხოლოდ 20 წუთი და იმ დროიდან ვერანაირ დასკვნას ვერ გავაკეთებთ. არადა, უახლოესი რეზერვის ნახვა საინტერესო იქნებოდა დასკვნების გასაკეთებლად.

სამაგიეროდ, ის შეგვიძლია გითხრათ, რომ იორდანიამ შეწყვიტა ზედიზედ 9-მატჩიანი წარუმატებელი სერია, ხოლო საქართველო უკვე ზედიზედ 6 მატჩია, ვერ იგებს. ჩვენმა ნაკრებმა ბოლოს ესპანეთის ნაკრები დაამარცხა (1:0) და ჩატარებულ ბოლო 13 მატჩში ეს ერთადერთი გამარჯვებაა.

შეგვიძლია შემოგთავაზოთ ვლადიმირ ვაისის კომენტარი, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე დაიდო:

– ჩვენ დუბაიში ჩამოვედით იმისთვის, რომ ფეხბურთელებს, რომლებსაც ნაკრებში თამაშის ნაკლები გამოცდილება აქვთ, თავის წარმოჩენის საშუალება ჰქონოდათ, გახსნილიყვნენ და ეჩვენებინათ თავიანთი თამაშის ხარისხი. ფრე ვითამაშეთ უზბეკეთთან, სამწუხაროდ, იორდანიის პირველ ნაკრებთან წავაგეთ. თამაში არც ისე მარტივი იყო, თანაბრად მიმდინარეობდა, ჩვენ 2 კარგი მომენტი გვქონდა, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტოქემ გაიტანა. მომენტალურად თამაშის შემდეგ დასკვნების გამოტანა რთულია... ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, მათ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებები. რა თქმა უნდა, ხარისხი სხვა საკითხია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მათგანი მოედანზე უქმად იყო. პირიქით, ყველა ცდილობდა, კარგად ვარჯიშობდნენ და, რაც ყველაზე მთავარია, გვაინტერესებდა, გაიხსნებოდა თუ არა რომელიმე ეროვნული ნაკრებისთვის. ამ შეკრებაზე 2-3 პოტენციურმა ახალმა მოთამაშემ წარმოაჩინა თავი, ამიტომ სერბეთთან შეხვედრისთვის შეკრებაზე ამ ფეხბურთელებიდან 2 აუცილებლად იქნება. ბუნებრივია, წაგებით კმაყოფილი მწვრთნელი არ არსებობს, მაგრამ კმაყოფილი ვარ შეკრებით, რადგან მოგვეცა შესაძლებლობა, ერთი კვირა ერთად გვემუშავა.

# ოლიმპიური კომიტეტი ახალი არჩევნების მოლოდინშია

მორიგი აურზაური ქართულ სპორტში – თბილისის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ბათილად ცნო 2016 წლის 23 დეკემბერს ჩატარებული ოლიმპიური კომიტეტის არჩევნების შედეგები და ოლიმპიური კომიტეტი დაუბრუნდა იმ მდგომარეობას, რომელშიც არჩევნებამდე იმყოფებოდა და 2016 წლის 23 დეკემბრის შემდეგ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ბათილად ითვლება.

განჩინება ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გადაეგზავნა. კონკრეტული დეტალები ჯერ არ სახელდება, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, სარჩელის საფუძველი დელეგატთა რეგისტრაციის წესს უკავშირდება. უფრო კონკრეტულად კი დელეგატები უნდა დაემტკიცებინა ყრილობას, მაგრამ ფედერაციებმა დელეგატების ვინაობა წერილობითი სახით შეიტანეს.

სწორედ ეს გახდა სარჩელის საფუძველი, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატმა, 23 დეკემბერს ჩატარებულ არჩევნებში დამარცხებულმა ირაკლი მეძმარიაშვილმა შეიტანა.



შეგახსენებთ, რომ გასული წლის 23 დეკემბერს არჩევნებში მოქმედმა პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა გაიმარჯვა. ის პრეზიდენტად 78 ხმით 57-ის წინააღმდეგ აირჩიეს. სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევნებში, რომელშიც 136 დელეგატიდან 135-მა მიიღო მონაწილეობა, სულ ორი კანდიდატი მონაწილეობდა – ლერი ხაბელოვი და ირაკლი მეძმარიაშვილი.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ არც შეტყობინება და არც სასამართლოს განჩინება ამ დრომდე არ მიუღია.

– როგორც კი ჩვენთვის ოფიციალურად ხელმისაწვდომი გახდება სასამართლოს მასალები, სეოკ-ი მედიისთვის გააკეთებს დამატებით კომენტარს, – აღნიშნულია განცხადებაში.

# ბორჯღალოსანთა გაფართოებული რაზმი ცნობილია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისთვის სეზონი 11 თებერვალს იწყება. ბორჯღალოსნები 2017 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატს განახლებული შემადგენლობით იწყებენ. ეს იმიტომ, რომ საქართველომ იაპონიაში, 2019 წლის მსოფლიო თასზე ასპარეზობა, წინა მუნდიალზე საუკეთესო 12 გუნდში მოხვედრით დაიბევა.

ჩვენ კი მოვიპოვეთ, მაგრამ ახლა საბრძოლი სხვა გუნდებს აქვთ, რომლებსაც ჩვენთან ნათამაშები შედეგი შესარჩევი ტურნირის ცხრილში არ ეთვლება. ამიტომაც არის, რომ ამ თამაშებს ახალგაზრდების გამოსაცდელად გამოვიყენებთ.

ბორჯღალოსნები 2017 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველი ორი მატჩისთვის შეკრებას 4 თებერვალს, საფრანგეთში დაიწყებენ. გუნდი ტულუზაში 9 თებერვლამდე დარჩება, მერე გეზს ბრიუსელისკენ აიღებს და ბელგიას 11 თებერვალს, საქართველოს დროით 18 საათზე შეერკინება.

ნაკრები შინ 13 თებერვალს დაბრუნდება და გერმანიასთან მატჩისთვის შევარდენის სანაკრებო ბაზაზე მოემზადება. 19 თებერვლის თამაში რუსთავში გაიმართება და 15 საათზე დაიწყება.

**მილტონ ჰეიგი, ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი:**

– ჩვენს მიზანს, რა თქმა უნდა, ტურნირის მოგება წარმოადგენს, სხვა მხრივ კი გვინდა, რომ სათამაშო პოზიციებზე მეტი კონკურენცია შევქმნათ და ახალგაზრდა მორაგბეებს შანსი მივცეთ. წლევანდელ გათამაშებაში უნდა ვცადოთ სტილის განვითარება და თამაშიც უფრო თანმიმდევრული გავხადოთ. ასევე მნიშვნელოვანია შეტევითსა და დაცვით სტილში სიახლეთა შეტანა.

ჰეიგი საწყის 2 მატჩს დიდი ექსპერიმენტით იწყებს. თუ ახალზელანდიელმა სპეციალისტმა გასულ წელს სულ 5 ახალბედა გამოცადა, 2017 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველი ორი მატჩისთვის (ბელგიისა და გერმანიის წინააღმდეგ), გაფართოებულ შემადგენლობაში ერთბაშად 8 უკეპო მორაგბე შეიყვანა.

– პირველი ორი მატჩისთვის ახალგაზრდები შევარჩიეთ, რაც მათ კარგ შესაძლებლობას მისცემს, სამწვრთნელო შტაბს უნარები დაანახონ. ვინაიდან ჩვენი მზერა 2019 წლის მსოფლიოს თასისკენ არის მიმართული, ცხადია, ეს შანსი სამომავლოდ მათი შერჩევის პროცესის დასაწყისია. ამ ბიჭებმა უნდა გაითავისონ, რომ მათ ყოველ ქმედებას თვალს მივადევნებთ არა მხოლოდ მოედანზე, არამედ მის მიღმაც. საქმისადმი მათ მიდგომასა და პროფესიონალიზმს მიკროსკოპით დავაკვირდებით.

თუმცა ჰეიგს გამოცდილი მორაგბეებიც ბლომად ჰყავს: კვირიკაშვილი, კაჭარავა, მალაღურაძე, ხმალაძე, ბეგაძე და ნემსაძე.

**სრული შემადგენლობა კი ასეთია:**

**უკანა ხაზი:**

15: მერაბ კვირიკაშვილი (ლელო სარასენსი), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი);



**14-11**: სანდრო თოდუა (ლელო სარასენსი), გიორგი ფრუიძე (ბაგრატი), ანზორ სიჭინავა (აკადემია), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), მერაბ შარიქაძე (ორიაკი, საფრანგეთი), გიორგი კოშაძე (ხარები), ბადრი ლიპარტელიანი (არმაზი);

**10-9**: ლაშა მალაღურაძე (კრასნი იარი, რუსეთი), ლაშა ხმალაძე (ლელო სარასენსი), რევაზ ჯინჭველაშვილი (ბაგრატი), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ლოკომოტივი), გელა აფრასიძე (ლელო სარასენსი);

**შერკინება:**

**1-3**: ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსეზი, საფრანგეთი), თორნიკე მატარაძე (ლიონი, საფრანგეთი), ბადრი ალხაზაშვილი (ტულონი, საფრანგეთი), გიორგი ჭყოიძე (ლელო სარასენსი), გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსეზი, საფრანგეთი), სოსო ბეკოშვილი (ბრივი, საფრანგეთი), ლაშა ტაბიძე (ბორდო, საფრანგეთი);

**4-5**: გიორგი ნემსაძე (ბრისტოლი, ინგლისი), ნოდარ ჭეიშვილი (ლელო სარასენსი);

**6-8**: გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), ლაშა ლომიძე (ბეზიე, საფრანგეთი), საბა შუბითიძე (აკადემია), ბექა გორგაძე (მონ'დე'მარსანი, საფრანგეთი), ოთარ გიორგაძე (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქი), გიორგი ცუცქირიძე (ბრივი, საფრანგეთი).

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს სიმსუქნეს

ეკა ირემაშვილი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, 1980 წლიდან დღემდე სიმსუქნის მაჩვენებელი გაორმაგდა. ამავე ორგანიზაციის 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილი ჭარბწონიანია.

რამდენჯერ ვიკვებოთ დღეში, რომელი სასმელი და საკვები უქმნის საფრთხეს ლამაზ სხეულს, მართალია თუ არა, რომ საღამოს 6 საათის შემდეგ სადილობა გვასუქებს, რა ასაკიდანაა შედარებით რთული წონის კლება, რა არის მეტაბოლური სინდრომი? დღეში რამდენი ნაჭერი პური ვჭამოთ? – ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ექიმი-ენდოკრინოლოგი სოფიო ფუტურიძე საუბრობს.

**სოფიო ფუტურიძე:**

– ჯანმრთელობისთვის რეკომენდებულია დღეში ხუთჯერადი კვება. რაციონი სამი ძირითადი კვებისგან – საუზმე, სადილი და ვახშამი – უნდა შედგებოდეს და შუალედში დამატებითი კვება, ე.წ. წახემსებაა საჭირო. საუზმე დღის კვების 25%-ს უნდა შეადგენდეს, სადილი – 35%-ს, ვახშამი – 20%-ს, ხოლო წახემსება – 10-10%-ს.

***– რომელი სასმელი და საკვები უქმნის საფრთხეს ლამაზ სხეულს?***

– რეკომენდებული არ არის ტკბილი და გაზიანი სასმელები. სასურველია, მაქსიმალურად შეზღუდოთ ნებისმიერი სახის ტკბილეული, შოკოლადი თუ ნამცხვრები, ცომეული და ფუნთუშეული. რაც შეეხება პურს, გირჩევთ, მცირე რაოდენობით მიიღოთ. კვების რაციონიდან ამ პროდუქტის მთლიანად ამოღება არ არის სასურველი. შეგიძლიათ, მცირე რაოდენობით მიიღოთ ქატოს ან ჭვავის პური. თუ თეთრი პური გიყვართ, უარს ნუ იტყვით, უბრალოდ, მიაქციეთ



ყურადღება რაოდენობას, მაგალითად, საუზმეზე 50 გრამი უნდა მიიღოთ, ხოლო სადილზე – 75%.

***– ბევრი ამტკიცებს, რომ 6 საათის შემდეგ ჭამა ასუქებს. ეს მართალია?***

– არ არის მართალი. 19-20 საათზე მსუბუქად ივახშმეთ. ვფიქრობ, როცა ადამიანი საღამოს 6 საათის შემდეგ აღარაფერს ჭამს, ეს შიმშილია და შედეგად ადამიანის ბიოლოგიურ რიტმზე უარყოფითად აისახება. ორგანიზმის დისბალანსს თავი რომ აარიდოთ, სასურველია, საღამოს მიირთვათ დაბალკალორიული საკვები, მაგალითად, რძის ნაწარმი. მოერიდეთ შემწვარ პროდუქტებს. არ გირჩევთ საღამოს ხილის ჭამას. ასევე ადამიანი შეცდომას უშვებს, როცა სადილობისას საკვებს ხილს აყოლებს. ვიტამინებით მდიდარი ხილი, უმჯობესია, ცალკე პროდუქტად მიირთვათ. დაარქვით ამას დამატებითი კვება ან თუნდაც წახემსება. ამ გზით ორგანიზმი ყველა საჭირო ვიტამინს აითვისებს.

ჩვენ, პირველ რიგში, ვადგენთ სიმსუქნის გამომწვევ მიზეზს, ვარკვევთ, თუ რატომ მოიმატა ადამიანმა წონაში. თუ ამის მიზეზი ცხოვრების არაჯანსაღი წესია, პაციენტს ვუხსნით, რა არის ჯანსაღი კვების რაციონი. თუ სიმსუქნეს ორგანული პათოლოგია არ იწვევს, წონის კორექციისთვის დიეტოთერაპიას მივმართავთ. ენდოკრინოლოგი ყველა პაციენტს დიეტას ინდივიდუალურად უდგენს, ხოლო დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ავადმყოფობის სიმპტომებსა და გამომწვევ მიზეზს ვმკურნალობთ და პაციენტს ჯანსაღ რაციონს ვუნიშნავთ. როცა სასურველ შედეგს დიეტოთერაპიით ვერ ვიღებთ, პაციენტს ვთავაზობთ სლივ-გასტრექტომიას. ეს არის კუჭის ვერტიკალური რეზექცია, მცირდება კუჭის მოცულობა. ამოსაკვეთ ნაწილთან ერთად იმ ჰორმონის გამომამუშავებელი უჯრედების მოცილებაც ხდება, რომელიც მადაზეა პასუხისმგებელი.

***– ვარჯიშის გარეშე მხოლოდ დიეტით წონაში დაკლება ეფექტურია?***

– ვარჯიშის გარეშე წონაში კლება წარმოუდგენელია, რადგან სიმსუქნესთან ბრძოლაში სწორი კვების რაციონი 50%-ს შეადგენს, დანარჩენ 50%-ზე კი გავლენას ახდენს ფიზიკური აქტივობა. ადამიანების დიდ ნაწილს ვარჯიში ეზარება. მსურს, მკითხველმა გააცნობიეროს, რომ აუცილებელი არ არის სირბილი, შეგიძლიათ, სუფთა ჰაერზე ისეირნოთ. ძალიან კარგია ცურვა, რომელსაც სხეული ტონუსში მოჰყავს და ამკვრივებს.

***– რა ასაკიდან რთულდება წონის კლება?***

– ასაკის მატებასთან ერთად, წონაში კლება რთულდება. 35 წლის ზემოთ გაცილებით რთულია წონაში დაკლება.

***– რა არის მეტაბოლური სინდრომი და როგორ უმჯობესდება მეტაბოლიზმი?***

– მეტაბოლური სინდრომი ორგანიზმში აღმოცენებულ იმ ცვლილებათა ერთობლიობაა, რომლებიც ნივთიერებათა ცვლის ღრმა დარღვევებს იწვევს. მეტაბოლური სინდრომის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმპტომია ცენტრალური სიმსუქნე, ანუ აბდომინალური სიმსუქნე, მუცლის არეში ცხიმის დიდი რაოდენობა. ამ ტიპის ჭარბ წონას ვაშლის ფორმისას უწოდებენ და ზოგჯერ მამაკაცური ტიპის სიმსუქნით მოიხსენიებენ. მე-



ტაბოლური სინდრომი მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედს აქვს. მეტაბოლიზმის გაუმჯობესების საუკეთესო გზა ვარჯიშია.

***– მიეცით ჩვენს მკითხველს ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევები...***

– ენდოკრინოლოგის 5 ოქროს რჩევა მკითხველისთვის ასეთია:

დღეში 2 ლიტრი წყალი დალიეთ. ეს დადებითად აისახება როგორც წელის გარშემოწერილობაზე, ისე სახის კანზე.

ივარჯიშეთ, ბევრი იმოძრავეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

გაუფრთხილდით ბიოლოგიურ რიტმს. უძილობა, ალკოჰოლი, სიგარეტი უარყოფითად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. ცნობილია, რომ ადამიანი, რომელსაც საშუალოდ 8 საათი არ სძინავს ან ძილთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, გაცილებით მეტ არაჯანსაღ პროდუქტს მიირთმევს.

გააკონტროლეთ კვების რაციონი. ორგანიზმი ცილებით მდიდარი პროდუქტებით გაანებივრეთ.

## ბრიტანელებს ნუდისტი დამლაგებლების მომსახურებას სთავაზობენ

ბრიტანული კრილინგური კომპანია მოქალაქეებს ნუდისტი-დამლაგებლების მომსახურებას სთავაზობს.

სახლის ერთსაათიანი დალაგება კლიენტს 65 ფუნტი სტერლინგი დაუჯდება. დამატებითი დროის ანაზღაურება საათი 55 ფუნტი ღირს. მსურველებს შეუძლიათ, გამოიძახონ ჩაცმული დამლაგებლები, რაც უფრო იაფი, 45 ფუნტი ღირს პირველი ერთი საათი, ხოლო 20 ფუნტი – მომდევნო საათი.

კომპანიის დამაარსებელმა ლაურა სმიტმა განაცხადა, რომ თავიდან კომპანია მხოლოდ ნუდისტების მომსახურებას გეგმავდა, მაგრამ შემდეგ აღმოაჩინა, რომ მათი პოტენციური აუდიტორია გაცილებით ფართოა.

კომპანიას სამსახურში აჰყავს მხოლოდ ქალები. ეს, სმიტის თქმით, იმის გამოა, რომ კლიენტების დიდი უმრავლესობა მამაკაცები ან ოჯახური წყვილია და როგორც ერთს, ისე მეორეს ურჩევნია, სახლი შიშველმა დამლაგებელმა დაალაგოს. ამასთან, როგორც წესი, ისინი შიშვლდებიან და მათ მუშაობას ასე უყურებენ.

კომპანიის ვებგვერდის თანახმად, შეკვეთამდე კლიენტს შეუძლია, აღწეროს საკუთარი მოთხოვნები დამლაგებლის გარეგნობაზე. ამის შემდეგ მას გაუგზავნიან მისთვის შესაფერისი



დამლაგებლების ფოტოსურათს, რომელსაც კლიენტი თავად შეარჩევს.

სმიტის მტკიცებით, უსაფრთხოების მიზნით ის თვალს ადევნებს თანამშრომლების ადგილსამყოფელს და მათთან მუდმივ კავშირზეა. შეკვეთის გაფორმების დროს კლიენტები მას ატყობინებენ საკუთარ სახელსა და გვარს და მისამართს, რომელსაც პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში გამოიყენებენ.

## ბელგიურ ძაღლს ყველაზე გრძელი კუდი აღმოაჩნდა

ბელგიაში ძაღლმა, სახელად კიონმა, რომლის კუდის სიგრძე 76,8 სანტიმეტრს აღწევს, მსოფლიო რეკორდი დაამხო.

ირლანდიური მეცხვარე ჯიშის ძაღლისა და მისი პატრონების ვიდეო იუთუბიზე გინესის რეკორდების წიგნის არხზე გამოქვეყნდა. სამი დღის განმავლობაში ის 44 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა. ყველაზე გრძელი კუდის ადრინდელი რეკორდი 40,5 სანტიმეტრს შეადგენდა.



## გერმანიაში კოდირებულსაკეტიანი და სიგნალიზაციის მქონე საცვლები დაამზადეს

გერმანიაში დაიწყეს საცვლების გამოშვება, რომლებიც კოდირებული საკეტითა და სიგნალიზაციით არის აღჭურვილი.

უჩვეულო თეთრეული მტკიცე ქსოვილისგანაა დამზადებული, რომელიც არ იხევა და მისი გაჭრა მეტად რთულია. საცვლის გასახდელად საჭიროა კოდის შეყვანა. თუ ჩამონტაჟებული სენსორები არასანქცირებული შეხების მცდელობას დააფიქსირებენ, ჩაირთვება სიგნა-



ლიზაცია, რომლის ხმის დონე 130 დეციბელს აღწევს.

მწარმოებელი მიიჩნევს, რომ ასეთი საცვლები დაეხმარება ქალებს, თავი დაიცვან სექსუალური მოძალადისგან. კომპანიას ასეთი საცვლების შექმნისკენ უბიძგა 2015 წლის ახალი წლის ღამემ, როდესაც კიოლნის ასეულობით მცხოვრები ჩრდილოეთ აფრიკიდან ლტოლვილების თავდასხმის ობიექტი გახდა.

ინტერნეტმაღაზიაში სიგნალიზაციით აღჭურვილი ტრუსები 99,99 ევრო ღირს, ხოლო ლეგინსები – 149,94 ევრო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
27 იანვრისათვის



**ვერძი** – დილით ყოველგვარი კაპიტალდაბანდებისაგან თავი შეიკავეთ. დღის მეორე ნახევარში სამსახურში დაწინაურებას ელოდეთ. **კურო** – დღეს არანაირი გრანდიოზული პროექტი არ დაგეგმოთ. წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **ტყუპები** – ემოციურად დატვირთული დღეა. ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის წევრების მიმართ. **კირჩხიბი** – სამსახურში გაუგებრობა იჩენს თავს. თქვენს კეთილგონიერებასა და თავშეკავებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. **ლომი** – პირად ცხოვრებაში პატარა პრობლემა გაქვთ. ნებისმიერ სიტუაციაში ვითარება თქვენ სასარგებლოდ წარიმართება. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში იფრთხილეთ. კომერციული გარიგებები სასურველი არ არის. ნურავის მიენდობით. **სასწორი** – სრულფასოვანი დასვენება გჭირდებათ. რეკომენდებული არ არის ყოფით პრობლემებთან შეჭიდება. **ღრიანკალი** – შანსი გაქვთ, თქვენ წინააღმდეგ მომართული ინტრიგებისაგან თავი დაიხსნათ. დაიმახსოვრეთ – ნუ იქნებით აგრესიული. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ. საეჭვო ნაცნობებს ერიდეთ. გირჩევთ, დაისვენოთ და გაერთოთ. **თხის რქა** – მოულოდნელი ინფორმაცია სულიერ წონასწორობას დაგირღვევთ. საკუთარი თავის რწმენა გქონდეთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **მერწყული** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. ნებისმიერი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. სახლიდან გასვლას ერიდეთ. **თევზები** – კონფლიქტურ სიტუაციებში მკვეთრი გამონათქვამებისაგან თავი შეიკავეთ. ასე სიტუაციას განმუხტავთ და თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 2. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 3. იტალიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 4. აეროპორტი მილანში; 7. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში; 9. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 15. კუთხე საქართველოში; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 5. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის მოთხრობა; 10. თანამედროვე ქართველი ფოტოხელოვანი; 11. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 18. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 19. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 21. მკბენარა მწერი; 22. ქართული ხალხური ცეკვა; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი მასალა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გერმანია; 2. ვარდი; 3. დეკანოზი; 4. კეხურა; 7. ებანი; 9. ოსუმი; 12. აგლომერატი; 14. რეკეტი; 15. კრაკოვი; 17. მოლუსკი; 20. ტენგე.

**თარაზულად:** 5. სერენადა; 6. არეშიძე; 8. ჭიდაობა; 10. ჟანგბადი; 11. პიექსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. პოემა; 19. გაუკი; 21. ნესტლე; 22. კვადრიგა; 23. ბერკუტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვენეცია; 2. ორიენტირი; 3. ყინწვისი; 4. პერგოლა; 5. გვრინი; 9. რონოდა; 11. რუბრიკა; 12. სეტყვა; 14. სიმენსი; 18. ეგერი; 19. ხუნდი.

**თარაზულად:** 4. პუდელი; 5. გაგრიფში; 6. დიქტი; 7. პრატერი; 8. კენკრა; 10. ეწერი; 13. იბსენი; 15. ტვენტე; 16. სურა; 17. კარე; 20. ეტიუდი; 21. კამენა; 22. კარკასი; 23. დროება.

# დღის კალენდარი

## 27 იანვარი



**წლის 27-ე დღე,
ახალ წლამდე დარჩა 338 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

ხსენება წმიდისა დედისა ჩვენისა ნინო მოციქულთა სწორისა, ქართველთა განმანათლებელისა. ღირსთა მამათა ჩვენთა, რომელნი მოისრნენ სარკინოზთაგან სინასა და რაითას: ესაიასი, საბასი, მოსესი და მოწაფისა მისისა მოსესი, იერემიასი, პავლესი, ადამისა, სერგისა, დომნესი, პროკლესი (IV). ღირსი იოსებ რაითელისა (IV); ღირსი თეოდულესი (V); ღირსი სტეფანესი (VIII).

წმიდა ნინო – ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში (IV ს. 30-იანი წწ), წარმოშობით კაბადოკიელი ბერძენი იყო. გადმოცემით, ნინოს მამა იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. შემდეგ მას სამსახურისათვის თავი დაუნებებია და იერუსალიმში წასულა. იერუსალიმიდან ნინო იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. შემდეგ საქართველოში წამოსულა. მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღუმართავს ვაზის ტოტისაგან („ნასხლევისაგან“) გაკეთებული ჯვარი. ნინოს ქადაგებებითა და სამკურნალო ხელოვნებით მოსახლეობის ყურადღება და სიყვარული დაუმსახურებია. მისი წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გასჩენია. მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს ნინომ გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ – მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. ამის შემდეგ ნინოს რჩევით მეფემ მოციქულები გაგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდელოების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლათ და ეკურთხებინათ ახლად აგებული ეკლესია. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა განუგრძია ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ერისთავის, სამღვდელოებისა და ჯარის თანხლებით ნინო მთიანეთში ასულა და წილკნელები, ჭართალელები, ფხოველები და ერწო-თიანელებიც გაუქრისტიანებია. უკან დაბრუნებისას ის ავად გამხდარა და სოფ. ბოდინში (ახლანდელი ბოდბე) გარდაიცვალა. იქვე დაუსაფლავებიათ. ნინოს, როგორც წმინდანის, ხსენების დღესასწაულად ეკლესიამ დააწესა 14 იანვარი (ძვ.სტ.).

### დაიბადნენ:

1571 – შაჰ აბას I, ირანის შაჰი. გარდაიცვალა 1629 წელს.

1756 – ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1791 წელს.

1775 – ფრიდრიხ შელინგი, გერმანელი ფილოსოფოსი.

1826 – მიხაილ სალტიკოვ-შჩედრინი, რუსი სატირიკოსი მწერალი, გარდაიცვალა 1889 წელს.

1832 – ლუის კეროლი (ჩარლზ დოჯსონი), მსოფლიოში ცნობილი წიგნის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ავტორი. გარდაიცვალა 1898 წელს.

1859 – ვილჰელმ II, გერმანიის მესამე იმპერატორი და პრუსიის მეფე. გარდაიცვალა 1941 წელს.

1859 – ილია ერენბურგი, რუსეთელი საბჭოთა მწერალი. გარდაიცვალა 1967 წელს.

1903 – ჯონ ეკლსი, ავსტრალიელი ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1911 – ანატოლი რიბაკოვი, რუსი მწერალი, „არბატის შვილების“ ავტორი.

1926 – შოთა ყავლაშვილი, არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1998 წელს.

1923 – ირაკლი გოცირიძე, ჟურნალისტი. გარდაიცვალა 2004 წელს.

1932 – ჯემალ (მამია) ლოლუა, მხატვარი.

1934 – ედიტ კრესონი, საფრანგეთის პირველი პრემიერ-მინისტრი ქალი.

1964 – ბრიჯიტ ფონდა, ამერიკელი კინომსახიობი ქალი, კინემატოგრაფში ფონდას სახელოვანი დინასტიის გამგრძელებელი.

### გარდაიცვალნენ:

1731 – ბართოლომეო კრისტოფორი, იტალიელი მუსიკალური ოსტატი – ფორტეპიანოს გამომგონებელი. დაიბადა 1709 წელს.

1874 – ჯუზეპე როვანი, იტალიელი მწერალი, ისტორიული რომანების ავტორი. დაიბადა 1818 წელს.

1901 – ჯუზეპე ვერდი, დიდი იტალიელი კომპოზიტორი.

1907 – დიმიტრი მენდელეევი, დიდი მეცნიერი – ქიმიკოსი, ელემენტთა პერიოდული კანონის აღმომჩენი. დაიბადა 1834 წელს.

1940 – ისააკ ბაბელი, რუსეთელი რეპრესირებული მწერალი. დაიბადა 1894 წელს.

1983 – ლუი დე ფიუნესი, ფრანგი კინომსახიობი-კომიკოსი. დაიბადა 1914 წელს.

### მოვლენები:

1302 – იტალიელი მწერალი დანტე ალიგიერი ფლორენციიდან განდევნეს და სიკვდილი მიუსაჯეს.

1593 – ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციის საპყრობილეში ჩააგდეს.

1725 – მომაკვდავმა პეტრე I-მა ქაღალდი და კალამი მოითხოვა, მაგრამ მხოლოდ ორი სიტყვის დაწერა მოასწრო: „მიეცით ყველაფერი“, მაგრამ ვის, დღემდე უცნობია.

1879 – თომას ედისონმა ელექტრონათურა დააპატენტა.

1897 – სანკტ-პეტერბურგში გაიმართა ჩაიკოვსკის ბალეტის „გედების ტბის“ პრემიერა.

1926 – ლონდონში შოტლანდიელმა გამომგონებელმა ჯონ ბერდმა პირველად უჩვენა საზოგადოებას ტელევიზორი, რომელიც გამოსახულების გადაცემის მექანიკური პრინციპით მუშაობდა.

1948 – ამერიკის სავაჭრო ქსელში გამოჩნდა პირველი მაგნიტოფონები.

1983 – იაპონიაში გაიჭრა მსოფლიოში ყველაზე გრძელი სარკინიგზო გვირაბი, რომელიც წყალქვეშ გადის და ორ კუნძულს – ჰონსიუს და ჰოკაიდოს აერთებს.

### დიდსასხსოვარი დღეები:

ბელარუსი – მეცნიერების დღე
ვიეტნამი – მშვიდობის დღე
ნაციზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე

**მედიანიუსი**

# ვინ გახდება რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი?



გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა ვაკანტურია.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ოფიციალურად გამოაცხადა.

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების მქონე პირი, პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება 2 თებერვალს დასრულდება.

# ქეთი დოლიძე: „გია როინიშვილისა და მისი ქომაგების გასაგონად“



კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე თეატრიდან გაშვებულ გია როინიშვილთან და წარმოებულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

– გია როინიშვილისა და მისი ქომაგების გასაგონად: სტრასბურგამდე რომ ვიარო, დავამტკიცებ, რომ ადამიანი, რომელიც 6 წელი არ დადგა თეატრის სცენაზე და არ უთამაშია არცერთი სპექტაკლი, იღებდა ურცხვად ხელფასს და არ რცხვენოდა ამის, თეატრში არ უნდა დაბრუნდეს, იმ თეატრში, რომელსაც უღალატა.

ახლა კი დაჩაგრულ ნაციონალად მოაქვს თავი!

კოლეგებს ჰკითხოს ერთი, მასთან ერთად თუ უნდათ სცენაზე დგომა!

იმ მოსამართლესაც უნდა ვკითხო, რომელმაც ეს დადგენილება გამოიტანა – გავაპროტესტებთ მაინც, სასამართლოში რომ არ გამოჩნდეს 7 წლის განმავლობაში, რას უზამენ?

თეატრის ღალატს არავის ვაპატიებ!

# ცირკის მოღვაწეთა კავშირი მთავრობას მიმართავს

საქართველოს ცირკის მოღვაწეთა კავშირი და მისი თავმჯდომარე გოჩა ხარატიშვილი წლებია იბრძვიან, რომ ქართული საცირკო ხელოვნება სათანადო დონეზე ავიდეს და მსახიობებს უცხოეთში გაქცევა და იქ მუშაობა არ უხდებოდეთ.

კავშირის ხელმძღვანელი მთავრობას მიმართავს და დაფინანსების ნუსხაში შეყვანას ითხოვს.

**გოჩა ხარატიშვილი, ცირკის მოღვაწეთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე:**

– ქართული ცირკი დღეს საქართველოში არ არსებობს. ცირკის მოღვაწეთა კავშირი ჩამოვაყალიბეთ იმისთვის, რომ ქართული საცირკო ხელოვნება მთლიანად არ დასამარებულიყო.

ჟურნალისტი ვარ. ქართული ცირკის მოღვაწეთა კავშირი 2014 წლის 25 დეკემბერს ჩამოყალიბდა. გვინდა, ქართული საცირკო ხელოვნება სათანადო დონეზე იყოს, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. იქიდან მოყოლებული, ჩვენ დღემდე ვიბრძვით, რომ ხელისუფლებას მივაწვდინოთ ხმა, რათა ქართული ცირკი შეიყვანონ დაფინანსების ნუსხაში, მაგრამ ვერანაირად. დახმარების მაგივრად ხელს გვიშლიან.

მდგომარეობა იმაზე მძიმეა, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ორი წლის განმავლობაში ცნობილი მსახიობების შიმშილით გარდაცვალების რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. ამას ყურადღებას არავინ აქცევს, არც კულტურის სამინისტრო, ვისაც ეს ეხება და არც არავინ. საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი ქართული საცირკო ხელოვნების შემდგომი განვითარება-პოპულარიზაციისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ. ეს კანონი თუ არ მიიღეს, ქართულ საცირკო ხელოვნებას არაფერი ეშველება. ქართული დასი, რომელსაც წელს 60 წლის იუბილე უსრულდება, აღარ არსებობს.

მიხეილ სააკაშვილის მთავრობასაც და დღევანდელ მთავრობასაც მივმართე, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიე. შარშან თბილისობის დღესასწაულში უნდა მიგვეღო მონაწილეობა. თბილისობის რეჟისორი იყო პაატა ციკოლია. მან დაგვიბარა, წარვუდგინეთ ხარჯთაღრიცხვა და ორი დღით ადრე ამოგვიღეს სიიდან. ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება, დღემდე უცნობია, არ გვეუბნებიან.

ჩვენ ხმა მივაწვდინეთ თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროს ია მაქაცარიასა და განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურს, მაგრამ მათ ქართული ცირკის გაგონებაზეც კი „ალერგია“ აქვთ. ჩვენს მსახიობებს არ უშვებენ არც სკოლებში, არც საბავშვო ბაღებში, რომ თავი გამოიჩინონ, ხელს გვიშლიან მუშაობაში.

კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილს დავუკავშირდით. მისმა თანაშემწემ უგულებელყო ჩვენი თხოვნა და მიგვითითა უფრო ზემდგომი ორგანოებისკენ, რადგან ქართული საცირკო ხელოვნება არ არის კულტურის სამინისტროს პრეროგატივა და ეს უწყება უფლებამოსილი არ არის, ჩვენი საკითხი განიხილოს.

ძლიერნო ამა ქვეყნისანო, სანამ ფატალური შედეგები არ იქნება, გთხოვთ, ყურადღება მოგვაქციოთ!

# სალომე კორკოტაშვილი ამერიკაში უსახსრობის გამო ვერ მიდის



მომღერალმა სალომე კორკოტაშვილმა ამერიკული სტუდიის კონკურსში გაიმარჯვა, მაგრამ უსახსრობის გამო აშშ-ში გამგზავრებას ვერ ახერხებს.

საერთაშორისო კონკურსში სალომემ 15.000-მდე მუსიკოსს შორის გაიმარჯვა. კონკურსში მონაწილეობდნენ მომღერლები მთელი მსოფლიოდან, ხმის ჩამწერმა სტუდიამ კი სწორედ სალომე შეარჩია, რომლის სასცენო ფსევდონიმია სალიო.

გამარჯვებულმა სალომემ სტუდიის სრული მომსახურების პაკეტი მიიღო. მას სიმღერას პროფესიონალურ სტუდიაში ჩაუწერენ, არანჟირებაზე კი „გრემის“ მფლობელი მუსიკოსი როს პეტერსონი იმუშავებს. როცა კომპოზიცია მზად იქნება, მას ამერიკის მასშტაბით 100-მდე რადიო დაატრიალებს.

ქართველი მომღერლისთვის ეს ყველაფერი რეალობად რომ იქცეს, მომღერალი თებერვალში აუცილებლად უნდა გაემგზავროს აშშ-ში, კერძოდ, მერილენდში. მომღერალს გასამგზავრებლად ბილეთის თანხა და სამი კვირის განმავლობაში ქვეყანაში ცხოვრების ხარჯების ანაზღაურება სჭირდება.

სოციალურ ქსელში სალომეს კოლეგებმა და გულშემატკივრებმა სპეციალური მიმართვა გაავრცელეს, სადაც ყველას მოუწოდებენ, დაინტერესდნენ ქართველი მომღერლის წარმატებით და მას ფინანსურად დაეხმარონ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, შესანიშნავი ადამიანი და სანიმუშო მოქალაქე

**რუსუდან სიმონის ასული ჯანაშია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.
პანაშვიდი: 26, 27 იანვარს, 16 საათზე;
დაკრძალვა: 28 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: თარხნიშვილის ქუჩა №26, II სართული.

ჯიმი, თამარ, პაატა, სანდრო, საბა, იზაბელა სვანები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიანა კალანდია-დარცმელია**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## პარასკევი 27 იანვარი

07.00 დოკ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 08.00 "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 08.30 დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**კედრის ყურე**" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" 15.00, 02.10 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დ/სერ. "მორგან ფრიმანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00, 03.10 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.00 ტ/სერ "**მთავრობა**" 00.00 მხ/ფ "**ადამიანები შავებში - 2**"

08.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" 09.00 დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "**არჩევანი**" 12.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ნეფერტიტი - დედოფლის მუმიის საიდუმლო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "ეპიცენტრი" 21.00, 01.00 ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის სიდუმლოებანი**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**ელიფი**" 2-3 სერ. 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10, 03.15 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**გონული**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 მხ/ფ "**ნათლია**" 1 ნაწ. 00.00 მხ/ფ "**შეცვლილი გზები**" 01.45 მხ/ფ "**ბრინსტორითელი ხულიგნები 2**" 03.30 მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45, 20.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50, 20.03 სერ. "**ოქროს გალია**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 ქ. მხ/ფ "**ლაზარე**" 00.30 სერ. "**დროში დაკარგული**"

08.00 ან/სერ. "**ფანზოი და ჩამ-ჩამი**" 09.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 11.00 სერ. "**მშობლები**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 18.00 სერ. "**სკანდალი**" 21.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 22.00 სერ. "**მოტივი**" 23.00 სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" 00.00 მხ/ფ "**გამორჩეულ ჯენტელმენთა ლიგა**" 01.55 მხ/ფ "**შვიდი**" 04.10 მხ/ფ "**პოსეიდონი**"

06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "ველური ბუნება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 მხ/ფ "**მეტიჩარა**" 12.10 პორტრეტები 13.05 აქტუალური თემა "თამბაქო" II ნაწ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "ანიმაცია" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ბიბლია ბავშვებისთვის 15.40 დ/ფ "ბარტ ვულფი-ამსტერდამი" 16.10 კონცერტი 17.00 წმინდა მოციქულთა სწორი ნინო 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**გაგიმარჯოთ ყველას**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ქვიშით ამღერებული პოეზია 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ნეტარი შიოს ლავრა" 22.50 ჩვენი ფონდი "წმინდა ნინო" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 ღვთის სახლი "დრანდა" 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 დ/ფ "ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.50 "ქვიშის ზღაპარი" 8.00 სერ. "**კარმელიტა**" 9.00 სერ. "**ქალბატონი**" 10.00 სერ. "**ორი გული**" 11.00 "სიყვარულის იმპერია" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 15.30, 3.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00 სერ. "**მარისა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50 სერ. "**მორიგე ექიმი**" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**მიცანი, თუ შეძლებ**" 21.55 სერ. "**პაემანი**" 22.40 სერ. "**მახე**" 1.00 მხ/ფ "**ფული ორისთვის**" 3.00 "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**27 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6922 |
| ევრო | 2.8941 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3846 |
| 100 რუსული რუბლი | 4.5423 |

## ამინდის პროგნოზი 27 იანვრისთვის







**20 იანვრიდან**

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## იუმორი



თანასოფლელის პანაშვიდზე მისული ქალი მოსთქვამს:

– აფრასიონ, ჩემ პალიკოს უთხარი, კარგად არიენოო, შენმა ბიჭმა ქალი მოიყვანათქვა და უკვე ბალანას ელოდებათქვა, შენმა წასვლამ დაგვიბუგა გულითქვა...

ამ დროს ერთ-ერთი ჭირისუფალი ეუბნება:

– დეიდა, მაგას პაწე სკლეროზი ჭირს და თითზე წითელი ძაფი შეაბი, არ დაავიწყდეს!!!

•••

ქალი ფსიქოლოგს ეუბნება:

– ექიმო, პრობლემა მაქვს... უარს ვერავის ვეუბნები და შემდეგ ვიტანჯები, თავს უწესო მსუბუქი ყოფაქცევის ქალად ვგრძნობ, ცოდვილად...

– კარგით, მე ახლა ჰიპნოზს გაგიკეთებთ, ტრანსში შეხვალთ და როდესაც გამოხვალთ, უარის თქმა შეგეძლებათ.

– არა, არა, უარის თქმა არაა საჭირო... უბრალოდ, ისე გააკეთეთ, რომ უწესო, ცუდი ყოფაქცევის ქალად და ცოდვილად არ ვიგრძნო თავი.

•••

შვილი დედას ურეკავს:

– დედა, ქმარი მღალატობს და როგორ მოვიქცე?

– საიდან მოიტანე?

– გუშინ, სახლში მოსულს, ჯიბეში ქალის ტრუსი ვუპოვე, დღეს კი ჯიბეში ბიუსტჰალტერი ედო.

– შვილო, ჯერ არაფერი მოიმოქმედო...

– რატომ?

– დაელოდე, ბეწვის ქურქი მოიტანოს!




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

**24 იანვრიდან**

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ჯეინ ოსტინი

გონება და გრძნობა



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



**26 იანვრიდან**

ურჩხული და მზეთუნახავი

მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

**27 იანვრიდან**

დონალდ ტრამპი

იფიქრე ჩემპიონივით



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

**25 იანვრიდან**



კანდიდ ჩარკვიანი

სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## ფედერერი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა



შვეიცარიელი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა. როჯერმა ნახევარფინალში თავისი თანამემამულე სტანისლას ვავრინკა დაამარცხა 5 სეტში ანგარიშით 7:5, 6:3, 1:6, 4:6, 6:3.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა, თუმცა მაყურებელი უფრო სანახაობრივ მატჩს ელოდა. ორივე ჩოგბურთელი საკმაოდ ბევრ შეცდომას უშვებდა, რაც მათი ნერვიულობით იყო გამოწვეული.

საბოლოოდ ფედერერმა იმძლავრა და ფინალში გავიდა.

ფინალი კვირას, 29 იანვარს გაიმართება და ფედერერის მეტოქე რაფაელ ნადალისა და გრიგორ დიმიტროვის დაპირისპირებაში გაირკვევა.

## ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა ისევ მოიგეს

4-მატჩიანი გასვლითი ტურნე გოლდენ სტეიტმა შარლოტში გამარჯვებით დაასრულა, რომლის განმავლობაშიც მხოლოდ 1 შეხვედრა მაიამიში წააგო. შარლოტი ოკლენდელებმა ბოლო პერიოდში გატეხეს და სეზონის 39 გამარჯვება მოიპოვეს.

ზაზა ფაჩულია, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა მოედანზე მხოლოდ 13 წუთით გამოჩნდა და ამ დროის განმავლობაში შედეგიანი ვერ იყო. ზაზამ თამაშიდან მხოლოდ ერთხელ, უშედეგოდ შეუტია, თუმცა 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 2 ქულასთან ერთად ქართველმა ცენტრმა 4 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

39 მოგებითა და 7 მარცხით გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციასა და სრულიად ლიგას ლიდერობს. მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს ოკლენდში ლოს ანჯელეს კლიპერსთან ელის.



*მოამზადა მიხეილ ყორღოლიანმა*

## რეალი ესპანეთის თასიდან გამოვარდა

მადრიდის რეალი ესპანეთის თასის გათამაშებას გამოეთიშა. სამეფო გუნდმა მეოთხედფინალში ვიგოს სელტას ბარიერის დაძლევა ვერ შეძლო.

პირველი მატჩი რეალმა საკუთარ მოედანზე 1:2 წააგო, რის შემდეგაც სტუმრად მინიმუმ ორი გოლის გატანა სჭირდებოდა. რეალმა 2 გოლი გაიტანა, მაგრამ საკუთარ კარშიც 2 გოლი მიიღო, ამიტომ ნახევარფინალში სელტა გავიდა.

ზინედინ ზიდანმა მატჩის შემდეგ სელტას გამარჯვება მიულოცა და თქვა, რომ რეალი აუცილებლად დაძლევს სირთულეებს და უფრო ძლიერი გახდება.

შემდეგ შეხვედრას სამეფო გუნდი საკუთარ მოედანზე რეალ სოსიედადის წინააღმდეგ გამართავს.

## კრიშტიანო რონალდუმ კრიტიკოსებს უპასუხა



მადრიდის რეალის ფორვარდმა კრიშტიანო რონალდუმ განაცხადა, რომ მას არ აინტერესებს იმ ადამიანების აზრი, რომლებიც მას აკრიტიკებენ.

რონალდუს თქმით, ის ფეხბურთს იმიტომ თამაშობს, რომ გულშემატკივარს სიამოვნება მიანიჭოს, მტრებს კი, პირიქით, იმედი გაუცრუოს.

რონალდუს კომენტარი მოჰყვა მის მიმართ კრიტიკულ გამონათქვამებს, რადგან პორტუგალიელი ფეხბურთელი 2017 წელს ჯერჯერობით ვერ აჩვენებს ისეთ თამაშს, როგორიც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს შეეფერება.

## პატრის ევრა მარსელის ოლიმპიკის ფეხბურთელია



პატრის ევრა ოფიციალურად მარსელის ოლიმპიკის ფეხბურთელია.

ევრა უკვე მარსელში იმყოფება, სადაც უახლოეს დღეებში კონტრაქტს ხელს მოაწერს. კონტრაქტის თანახმად, ევრა ოლიმპიკში 2 წელიწადს გაატარებს და მისი წლიური ანაზღაურება მილიონ-ნახევარი ევრო იქნება.

ევრა 10 წლის განმავლობაში მანჩესტერ იუნაიტედის ღირსებას იცავდა, 2014-ში კი იუვენტუსში გადავიდა, სადაც ბოლო პერიოდში ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა.

ამის გამო ევრამ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და მარსელის ოლიმპიკი აირჩია, რომელიც ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატში მე-6 ადგილზე იმყოფება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. სხვადასხვა ოპერიდან აღებული მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი ძველებური იტალიური ოპერა; 2. ჰოლანდიური ლუდი; 3. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 4. მოჩვენებითი მამაცობა; 5. ქართული ზღაპარი; 9. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 11. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. იაპონური მაფია; 14. მოხეტიალე ქართველი მევიოლინე-მომღერალი მამაკაცი; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 19. ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი.

**თარაზულად**: 4. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 5. ქართველი მგოსანი; 6. ხელის გამომხატველობითი, მინიშნებითი მოძრაობა; 7. ქართული ტელეკომპანია; 8. შავი და თეთრი შრეებიანი მინერალი – აქატის ნაირსახეობა; 10. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. მესხების, გურულების, აჭარლების ძველებური ჩოხა; 15. ხარებთან ორთაბრძოლა; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ინდური მეტალურგიულ-სამრეწველო კომპანია; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. ინდური კანაფისაგან მიღებული ნარკოტიკი; 22. ღვინის, ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 23. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო ან ფესვი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*


ლურჯი წითელი ყვითელი შავი